საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითველო

ალხო ფრონტი
ი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
ინა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 3 (1338) | 30 იანვარი, 1993 წ.

ლი მომავლისკენ, კიდევ უფრო
აგეყვავებინა და განგევრცო ჩვე-
ნი დიადი,ვრცელი სამშობლო...

* * *

ერთ რამეს კი მართ
დაუკარგავ იმ „
დროს“ — სიტ
დაბეჭ
ნ

დღეს, ამ ჩვენს, უკვე მერა-
მდენე „გარდამავალ პერი-
ოდში“ ხშირად გაიგონებ, კომუ-
ნიზმში გვიცხოვრია და არ ვიცო-
დითო...

* * *

ფაქტია, პირველყოფილი კა-
პიტალიზმის ჩვენებურად მშენებ-
ლობის, საბაზრო ეკონომიკაზე
გაზრულად გადასვლის თანმი
მა სიძნელეებმა ბევრს „ძ
თილი დროის“ ნოსტ
ინა. იმ დროის

ითველო

იქ მხოლოდ ქართველებს ხვრეტენ

როცა ომი იწყება, საშინელი გრძნობა გეუფლება, მაგრამ ეს გრძნობა გიათმაგდება, თუ ომმა მტრის გარემოცვაში მოგისწრო. პირველი წუთიდან იწყებ ფიქრს, როგორ გააღწიო შენიანების მხარეს და ბედნიერი ხარ თუ ოჯახის წევრები მაინც სამშვიდობოს გეგულებ.

6 აგვისტოს ჩემი ცოლშვილი თბილისში გაემგზავრა, 14 — ში კი ომი დაიწყო. მალე ბიჭვინთაში რუსების ორიათასადგილიანი გემი შემოვიდა. ვფიქრობდი, რომ გამგზავრებას ქართველებიც მოვახერხებდით, მაგრამ გემთან ავტომატიანი აფხაზები იდგნენ. რუსებმა მხოლოდ რუსები წაიყვანეს.ყველას იქ მყოფი ქალებისა და ბავშვების დარდი გვქონდა. რამდენიმე მათგანს აფხაზი ქალები დაეხმარნენ და გემზე აიყვანეს. ვუყურებდით, როგორ შორდებოდა გემი სანაპიროს. თითქოს უკაცრიელ კუნძულზე ვრჩებოდით.

გაგრა ჯერ კიდევ ჩვენებს ეჭავათ. სამხედრო თვსაზრისით ამას ალბათ დიდი მთნიშვნელობა ჰქონდა, მარამ ეს ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო. ყოველდღე ველოდით, რომ ქართველები ბიჭვინთაშიც შემოვიდოდნენ. ამას ეტყობა, აფხაზებიც ითვალისწინებდნენ და ჩვენს მიმართ შედარებით ნორმალურ დვამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ. ამ დროს კი ბიჭვინთაში ვერტმფრენით ჩრდილო— კავკასიელები ჩამოდიოდნენ. ისინი სანატორიუმებში დააბინავეს. შტაბი კი ბიჭვინთის ცენტრში, არამოქმედ ეკლესიაში გახსნეს.

ჩვენთან ასე თქვეს, გაგრიდან ქართველები გარბოდნენო. ზოგი ამბობდა, გაგრა გაყიდესო, ზოგი კიდევ რას ამბობდა... ჩვენი კუნძული კი თითქოს კიდევ უფრო დაპატარავდა.

აფხაზებმა რამდენიმე ქართველის სახლი გადაწვეს. პირობა მოგვცეს თუ ბინებიდან ამოვეწერებოდით, ქართველების მხარეს გადაგვყვადნენ, თანაც გზის ფულად ხუთი ათას მანეთს, გვთავაზობდნენ. რამდენიმე ოჯახი ამოეწერა და გაემგზავრა, მაგრამ მალე საიდანღაც ბრძანება მოვიდა, ამოწერა შეაჩერეს. ყველამ ვიგრძენით, რომ ამ დღიდან მძევლები ვიყავით.

ქართველები კლუბში შეგვიყანეს. ბიჭვინთის შტაბის უფროსი, გვარად დოლბაია გველაპარაკა. გვითხრა, დედა მეც ქართველი მყავს, მაგრამ აფხაზების გვერდით უნდა ვიბრძოლოთო. გვპირდებოდა, რომ, თუ წინა ხაზზე წასვლას არ მოვისურვებდით, ზურგში გაგვანაწილებდნენ. ჩვენ მხოლოდ ის შეგვეძლო, რომ გაბედულად გვეპასუხა. ეს ჩვენი ომი იყო. ვიბრძოდით უიარაღოდ, მაგრამ ყველამ ვიგრძენით, რომ გავიმარჯვეთ.

გაგრის ამბების შემდეგ ქართველების მოტაცება დაიწყეს. ამბობდნენ, რომ მოტაცებულებს გაგრის ხეობაში ხვრეტდნენ. ერთ ღამეს მ.ა. მოიტაცეს. მან მითხრა, რომ გაგრის ხეობისკენ წაიყვანეს, მაგრამ მერე მილიციისკენ გადაუხვიეს, სადაც სიცოცხლე აღუთქვეს, იმ პირობით, თუ ბინას აფხაზს აჩუქებდა, თანაც ხელწერილს დაწერდა, რომ ბინას თავისი ნებით ასყიდებდა აფხაზს.

აფხაზებს ქარული ოჯახებიდან მიჰყავდათ საქონელი, მიჰქონდათ ავეჯი. ყველა ქართველს წაართვეს მანქანა. გ.ლ.-ს, რომელმაც მანქანა გადამალა, დაუწვეს სახლი. მოკლეს დ.მ., რადგან აფხაზების თქმით ის გაიძახოდა გაუმარჯოს საქართველოსო. როცა რომელიმე სოფლიდან ომში წასული აფხაზი იღუპებოდა, წვავდნენ ქართველების სახლებს, ხვრეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ხვრეტდნენ იმის ნათესავებს, ვინც ქართველების მხარეს იბრძოდა. ღამით პ.რ.-ს სახლს ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ ვერ მივეხმარეთ. ღამით გარეთ თავის გაყოფა არ შეიძლებოდა. მეორე დილით ჩანაცრულ ნასახლარზე ადამიანის ნარჩენები ვერ ვიპოვეთ. პ.რ.-ს ოჯახი მთლიანად დაიკარგა. ყველამ ვიცოდით, თუ საბლს ცეცხლს წაუკიდებდნენ, შეუმჩნეველად უნდა გავპარულიყავით. წინააღმდეგობის შემთხვევაში დაგხვრეტდნენ. ასე დახვრიტეს მ.ზ. მისი ცოლო კი დაჭრეს. ქართველისათვის ექიმი არ არსებობდა. ველოდებოდით, მ.ზ. —ს ცოლის სიკვდილს, რომ ცოლქმარი ერთად დაგვემარხა, მაგრამ პროცესის მოწყობის უფლება ვერ მივიღეთ. ორმა მეზობელმა მიაბარა ისინი მიწას.

ზოგიერთი აფხაზი ქართველებს გაპარვაში ეხმარება, ოღონდ ორმრცდაათი ათასი მანეთის საფასურად.

ჩემი ავეჯი წაიღეს. სამაგიეროდ, ხელყუმბარა ვიშოვე. მქონდა ორლულიანი თოფიც. გაუხდელად მეძინა მეორე სართულზე. საერთოდ, ხუთი თვე გაუხდელად ვიცხოვრე. კვირაში ერთხელ ვბანაობდი. ვფიქრობდი, რომ თავდასხმის შემთხვევაში ხელყუმბარას ავაფეთქებდი, კიდევ თოფიც მქონდა — ორი კაცის მოკვლას მაინც მოვახერხებდი.

დილის რვა საათზე აფხაზები თითო პურს გვირიგებდნენ,ეს სავსებით საკმარისია, როცა ჭამის ხასიათზე არა ხარ. აფხაზები მშვენივრად გრძნობენ თავს, ამიტომ ჰუმანიტარულ დახმარებასაც იღებენ. შენ კი ლუკმაც არ გადაგივა — გაპარების ფასი ასი ათას მანეთამდე ადის.

აფხაზებმა მანდარინის კრეფა დაიწყეს. ყველა ქართველი პლანტაციაში გაიყვანეს. შეგვპირდნენ, რომ ფულს გადაგვიხდიდნენ. ვიცოდი, ფულს არ მოგვცემდნენ, მაგრამ სამუშაოდ მაინც წავედი. წინააღმდეგობას აზრი არა ჰქონდა. რუსებს და სომხებს მანდარინი რეფლექირატორებით რუსეთში გაჰქოდათ. ვმუშაობდით და საღამოობით თითო ვედრო მანდარინს ჩვენც გვატანენ.

ჩემს სახლთან ახლოს რუსეთის ნომრებიანი საბარგო მანქანა დავინახე. არც მძღოლი ჩანდა ჩვენებური — ძარაზე ბარგს ტვირთავდა.

— წამიყვანე ადლერამდე, — გავეხუმრე.

მხღოლმა გამომხედა და ტომარა ძარაზე მოისროლა.

— წამიყვნე და დატვირთვაში მოგეხმარები. — არც კი ვიცი, რატომ გავიმეორე „ხუმრობა“ ყოველგვარი ხუმრობის გარეშე.

— კი ბატონო მიპასუხა მან.

მძღოლი ჩემგან განსხვავებით ნამდვილად არ ხუმობდა...

სახლში ღვინო მქონდა დარჩენილი. ბარგი რომ დავტვირთეთ, გამოვიტანე და მძღოლს დავალევინე.

— მე საბარგულზე დავდგები, — ვუთხარი მძღოლს.

— კაბინაში არა ჯობია? — მითხრა მან.

— არა, ვუთხარი მე, — როცა ნასვამი ვარ ჰაერზე მირჩევნია.

— შენი ნებაა, — ჩაილაპარაკა და კაბინაში ჩაჯდა.

დავიძარით. მაშინვე ტომრებს შორის ჩავძვერი. საზღვრამდე რამდენიმე საკონტროლო პურქტია. საბარგულიდან ვგრძნობ ყოველ მოსახვევს, ყოველ მეტრს.

გამახსენდა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ აფხზი 50 ათას მანეთად ქართველს აპარებდა. ორივე დაიჭირეს. ქართველს სცემეს და ორივე უკან დააბრუნეს. ფიქრს თავი დავანებე და ყურადღება დავძაბე. მალე გაგვაჩერებდნენ.

მძღოლს მხოლოდ საბუთები შეუმოწმეს.

ამასწინათ ყვებოდნენ იმასაც, რომ სომეხი აპარებდა ქართველს. ამჯერად სომეხს სცემეს, ქართველი კი დახვრიტეს. ეს რომ გამახსენდა, გავიფიქრე, ნეტა რას გვიზამენ, როცა რუსსა და ქართველს დაგვიჭერენ-მეთქი. ამ კითხვაზე საკუთარმა თავმაც კი საშინელი პასუხი მიკარნახა და ტომრებს შორის უფრო ღრმად ჩავიმალე. თან გადავწყვიტე, რომ ცოტა ხანს ოჯახზე მეფიქრა.

ყველა საკონტროლო პუნქტი გავიარეთ. ვიგრძენი, რომ ფსოუს ხიდზე გადავდიოდით. წინ უკვე რუსეთის საზღვარი იყო. ზაზღვარი იმ ქვეყნისა, რომელსაც ვერასოდეს ვერაფერს გაუგებ. ამიტომ ეს უკანასკნელი შემოწმებაც ტომრებში ჩამალულმა გავიარე.

ადლერში მძღოლს მადლობა გადავუხადე და ყველაფერი მოვუყევი. მას თვალები გაუფართოვდა და მითხრა, ეგ რომ მცოდნოდა როგორ წამოგიყვანდიო.

— იქ მხოლოდ ქართველებს ხვრეტენ, შენ არაფერი გემუქრებოდა მეთქი, — ვუთხარი მე.

კიდევ ერთხელ გადავუხადე მძღოლს მადლობა და აეროპორტისკენ გავწიე.

ამ ამბის მთხრობელი რედაქციაში გვესტუმრა, კაცი, ვინც ხუთი თვე დაჰყო საკუთარ მიწაზე, მაგრამ დღეს უკვე ჩვენთვის მტრად ქცეული აფხაზების გარემოცვაში. საუბრისას ეტყობოდა, ფრთხილობდა, რომ რაიმე ზედმეტი არ ეთქვა. ეს ყველასათის გასაგებია, ყოველი დაუფიქრებელი სიტყვა აფხაზეთში ქართველი კაცის სიცოცხლის ფასად გვიღირს. მის ვინაობასაც ამავე მოსაზრებით არ ვაქვეყნებთ.

ვახტანგ კომახიძე

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება.

1993 წლის 27—28 თებერვალს ნატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა.

რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარეებმა 1993 წლის 20 თებერვლამდე წარმოადგინონ ყრილობის დელეგატთა სია.

ყრილობამდე ყოველი კვირის პარასკევს პირველ საათზე გაიმართება დარბაზის სხდომები.

საქართველოს სახალხო ფრონტის
საორგანიზაციო განყოფილება

თუ ომია, ომი

ომი გადაუჭრელი საკითხების სწრაფი მოგვარების საშუალ

თუ შეგიძლია ომი მოიგო, ნახევარ გზაზე არ უნდა გაჩერდე. ჩემი ... ...ება და ამიტო- ...ციარიაში

5 თვეზე მეტია აფხაზეთში ომი მიმდინარეობს, მის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანს და ჩემი ღრმა რწმენით არც დამთავრდება იმ პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ჩვენი ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენლები ატარებენ.

ზარზეიმით აღებული სოხუმი ყოველდღე იბომბება. იგი არამარტო აფსუებისაგან,ფაქტიურად ქართველებისაგანაც დაიცალა. გაგრაში ქართველები აღარ არიან. ვინც ვერ გაასწრო, დაზვრიტეს. ვერ იქნა და ვერ ავიღეთ (უფრო სწორედ არ ვიღეთ) ტყვარჩელს, მითუმეტეს რომ ქალაქი ბლოკირებულია, დაუძლურებული და მისი აღება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

ერთადერთი დადებითი მომენტი რაც ომმა მოიტანა, აფხაზეთის ქართველების კონსოლიდაციაა, მაგრამ ეს ცოტა ნუგეშია იმის ფონზე, თუ რამდენი ქართველი შეეწირა და ეწირება ამ ომს.

ასეთია სინამდვილე.

მაგრამ ერთია დავინახოთ შედეგი, მეორე — გავერკვეთ რატომ მოხდა და ხდება ასე.

რასაკვირველია აქ ბევრი ფაქტორი მოქმედებს: ქართული არმიის ფაქტიური არ არსებობა, რუსეთის ფაქტორი, ჩრდილოკავკასიური ფაქტორი, ეკონომიკური სისუსტე, მაგრამ ყველაზე მთავარი მე მაინც სხვა რამ მიმაჩნია — ხელისუფლების გაუბედავი მოქმედება და ოფიციალური იდეოლოგია.

რა მაქვს მხედველობაში?

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ თავს ვიტყუებთ, როდესაც ვაცხადებთ რომ აფხაზეთში მიმდინარეობს ძმათამკვლელი ომი.

არა ბატონებო!

ძმათამკვლელი ომი საქართველოში ამ ბოლო პერიოდში მიმდინარეობდა მხოლოდ სამეგრელოში.

არც შიდა ქართლში და არც აფხაზეთში ძმათამკვლელი ომი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა.

მდგმურსა და მასპინძელს შორის ძმათამკვლელი ომი არ ხდება.

არ უნდა გავუთანაბროდ ჩრდილოეთკავკასიიდან (ადიღედან) ჩამოთესლილი ხალხი აფხაზეთის ძირძველ ქართულ (სვანურ, მეგრულ ნამდვილ აფხაზურ) მოსახლეობას.

სხვათა შორის აფხაზეთის თითქმის ყველა ტოპონიმი ან ქართულია (სვანურ-მეგრული) ან უბიზური და არა აფსუური.

აღარაფერს ვამბობ გააფსუებულ ჭკადუებზე, მარღანიებზე, კაკულიებზე, მარშანიებზე, "წერეთლებზე (ასეთებიც არიან) და სხვა.

ეს ქართველი ერის ტრაგედიაა.

აგრეთვე თავს ვიტყუებთ, როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენ გვებრძვიან „გარკვეული სეპარატისტული ძალები". არა და არა!

ჩვენ გვებრძვის, რუსეთის მიერ დაგეშილი მთლიანად აფსუა ხალხი, მათი სულ ცოტა 97 — 98 პროცენტი. ყველა აფსუას გენეტიკური ზიზღი აქვს ქართველთა მიმართ, ასეთია სინამდვილე. ის თითებზე ჩამოსათვლელი აფსუები კი (სხვათაშორის, მათი უდიდესი უმრავლესობა ქართულგვაროვანი აფსუებია), რომლებიც ოდნავ, ვიმეორებ ოდნავ, სხვაგვარად აზროვნებენ, მათ ან დედა ჰყავთ ქართველი; ან ცოლი, ან ქმარი. ისე რომ, ქართველებისადმი ზიზღის საკითხში, როგორც იტყვიან, ყველა ერთსულოვანია.

ამაზე ლაპარაკი იმიტომ დამჭირდა, რომ განმეცხადებინა შემდეგი — თუ მტერი არ გძულს, მასთან ომს ვერ მოიგებ.

მტერს უნდა უყურებდე როგორც მტერს და არა როგორც „მოტყუებულ, გზასაცდენილ, დროებით მოწინააღმდეგეს".

თუ ჩვენ იმავე ხერხებით ვიომებთ, როგორც აფსუები, დამერწმუნეთ ომი დიდ ხანია დამთავრებული იქნებოდა, თანაც რაც მთავარია საშვილიშვილოდ გადაიჭრებოდა „აფხაზური სეპარატიზმის „პრობლემა.

აფხაზეთში სპეციფიკური ომია.

აფსუები ცოტანი არიან და ისინი დიდიხანს ომს ვერ გაგრძელებენ.

მაგრამ ომს! და არა ქართველთა ცალმხრივ ხოცვას! ეს შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს, სანამ ჩვენც აფსუებივით ცოტანი არ დავრჩებით.

ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას

კიდევ ერთი რამ ამ თემასთან დაკავშირებით.

ამ ბოლო დროს ზოგიერთები „ზემო ეშელონიდან" ფრთხილად გვაპარებენ ერთ არასწორ, მავნე აზრს: ყველა ომი თუ ომია, უნდა იყოს ომი! ტოტალური! აფსუებმა უნდა დაინახონ,რომ ომის გაგრძელებით სრულიად განადგურდებიან და დარწმუნებული იყავით შემდგომში აღარასდროს აღარ შეაწუხებთ საქართველოდან გამოყოფის, ქართული მიწის დაქუცმაცების იდეები.



აფხაზური ნაღმი სამუდამოდ განეიტრალებული უნდა იყოს, მაგრამ მე მეჩვენება რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა აქეთკენ არაა მიმართული.

აქედან გამომდინარე იბადება ბევრი შეკითხვა სახელმწიფოს სხვა და სხვა ეშელონის წარმომადგენელთა მიმართ, ხოლო მათ მიერ დროის გაყვანის პოლიტიკა უიმედობის და გაურკვევლობის ატმოსფეროში აყენებს ქართველ ხალხს.

ხალხში სუფევს ყველაფრისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რადგან ვერ ხედავენ მკაფიოდ გამოკვეთილ ქართულ ეროვნულ პოლიტიკას. უფრო მეტიც, სხვადასხვა დონეებზე (მთავრობა, ტელევიზია, პრესა) აშკარად შეიმჩნევა რუსოფილობის ძლიერი ტენდენციები.

მაგალითები ბევრია, აი ზოგიერთი მათგანი:

ჩვენდამი რუსეთის აქტიური ბრძოლის საპასუხოდ, ჩვენმა პარლამენტმა მორიდებულად დაიწყო ბუტბუტი და...

აღარ მახსოვს ვინ თქვა — ჩვენ როგორც კი მოვითხოვთ რუსეთის ჯარი იმწუთში გავაო, ეგ პრობლემა არ არისო! (???) — თურმე პრობლემა ყოფილა! არ გადიან და მგონი არც აპირებენ.

ხო მართლა, ქართველებს გილოცავთ ერთ სასიხარულო მოვლენას — დიდი ხნის შესვენების შემდეგ სოხუმში ამოქმედებულა ოსტანკინოსა და რუსეთის ტელეარხები.

სწორედ ყოველივე ამის შედეგიცაა, ბატონი გ. ხაინდრავა რომ ბრძანებდა — „ფრონტზე 4 მილიონიან და 80 ათასიან ერებს ცოცხალი ძალის მხრივ დაახლოებით პარიტეტი აქვთო".

ეს ჩვენში გაბატონებული იდეოლოგიის ნაყოფია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამის გამო ვაცხადებთ, რომ თუ გვინდა აფხაზეთი ომი დამთავრდეს უნდა ვაწარმოოთ ტოტალური ომი და აუცილებლად ისეთი ხერხებით, რომლებსაც აფსუები იყენებენ ჩვენ მიმართ (მიხვდებიან რაც მაქვს მხედველობაში).

თუ ასე მოხდა, დარწმუნებული იყავით, „აფხაზური სეპარატიზმი" ჩვენს შთამომავლობას აღარ შეაწუხებს.

რასაკვირველია ამას რუსეთის ხელშეწყობით, შეიძლება მოჰყვეს საკმაოდ უარყოფითი საერთაშორისო რეზონანსი, მაგრამ იგივე რუსეთის და ჩვენი უგერგილობის გამო მთლად დადებითი რეზონანსი არც ეხლა არა გვაქვს, როდესაც ასე დიდსულოვნად ვაყლეტინებთ ქართველ ხალხს და მეორეც, პრობლემა უკვე გადაწყვეტილი იქნება, რადგან პრობლემის გამომწვევი ელემენტი ფაქტიურად აღარ იარსებებს.

ამ ფაქტმა შეაშფოთა როგორ მფრინავ ...ინა ...ზე

...ოპის ყოვლად უშიშარ ადგილზე მდებარეობს. მიუხედავად ამისა, მას ჰყავს თავისი მოსახლეობის რაოდენობისათვის უჩვეულოდ დიდი და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული არმია. ისინი სიამაყით აცხადებენ,რომ 48 საათში უნა- შესწევს 625000 ჯარისკაცი ...ს საბრძოლველად გამზა- ...ამოდენა არმის შენახვა ...ება და ამიტო- ...

ისტორიულ პერსპექტივაში აარმია მომავლობა ჩვენ მადლობას გვეტყვის

მაგრამ ვაი რომ ვისაც ეს ძალუძთ

...ია ...

...ია ...

...ია ...

...ქარავანი კი მიდის...

ფელიქს კოჭიაშვილი

დღეს, ამ ჩვენს, უკვე მერამდენე „გარდამავალ პერიოდში“ ხშირად გაიგონებ, კომუნიზმში გვიცხოვრია და არ ვიცოდითო...

* * *

ფაქტია, პირველყოფილი კაპიტალიზმის ჩვენებურად მშენებლობის, საბაზრო ეკონომიკაზე ბაზრულად გადასვლის თანმდევმა სიძნელეებმა ბევრს „ძველი, კეთილი დროის“ ნოსტალგია გაუჩინა. იმ დროისა, როცა —

„ყველაფერი იყო“;

ყოველივე პარტიის ისტორიასავით სუფთა, ნათელი, გასაგები იყო;

შენს მაგივრად „იქ“, „ზემოთ“ ფიქრობდნენ;

მხოლოდ ის გევალებოდა, რასაც ჩაგძახებდნენ, ის ამოგეძახა; გჭონოდა მომავლის იმედი; გევლო კრებებზე, შაბათობებზე, პოლიტმეცადინეობებზე, საშვიდნოემბრო-საპირველმაისო დემონსტრაციებზე, სამსახურშიც...

ერთი სიტყვით, მარქსიზმ-ლენინიზმის მარად უჭკნობი, უკვდავი იდეებით საამედოდ შეიარაღებულს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, არნახული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, ლპობადი დასავლეთის გულისგასახეთქად და პროგრესული კაცობრიობის გულისგასახარად, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის — პარტიისა და პირადად მეოცე საუკუნის უდიდესი პოლიტიკოსისა და სახელმწიფოს მოღვაწის, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიადი საქმეების ერთგული გამგრძელებლის, მშვიდობის მტრედისა და არქიტექტორის, ძვირფასი — ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის, — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის, — იური ვლადიმერის-ძე ანდროპოვის, — კონსტანტინ უსტინის ძე ჩერნენკოს — ბრწყინული წინამძღოლობით ათეულობით წლების განმავლობაში მტკიცედ და დაჯერებულად, გიგანტური ნაბიჯებით გვევლო სულ წინ და წინ, ნათელი მომავლისკენ, კიდევ უფრო აგეყვავებინა და განგევრცო ჩვენი დიადი,ვრცელი სამშობლო...

* * *

ერთ რამეს კი მართლა ვერ დაუკარგავ იმ „დალოცვილ დროს“ — სიტყვას, მით უმეტეს, დაბეჭდილს, წონა, გასავლი ჰქონდა. დიდმა თუ პატარამ, ყველამ იცოდა, გაზეთში რომ კრიტიკული მასალა დაიბეჭდებოდა, კრიტიკის ობიექტს, თუ არ მოხსნიდნენ, შეახურებდნენ მაინც, „მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“ „ზომებს მიიღებდნენ“...

მოკლედ, გაზეთის,პრესის პატივისცემა, რიდი, „ხათრი“ ჰქონდათ, ანგარიშს უწევდნენ, უპასუხოდ არ სტოვებდნენ... „გაზეთში გაწერვა“ (როგორც კარგი, ისე ცუდი გაგებით) მართლა რაღაცას ნიშნავდა (და არა მხოლოდ მიმტომ, რომ პრესა პარტიული იყო)...

* * *

ახლა?

ნუ იკითხავ, უფრო ზუსტად, წერე და იკითხე, კიდევ უფრო ზუსტად, ვინაა, სადაა, „გაზეთში გაწერილის“ განმკითხავი... ერთხელ კი არა, თუ გინდა ათასჯერ დაწერე, აღწერე, აღნიშნე, სთხოვე, შეეკითხე, შეახსენე — რა დაგიკარგავს, რას ეძებ!... ანუ... ქარავანი კი მიდის(არა, არ არის პრესა მეოთხე ხელისუფლება... ჩვენთან, რასაკვირველია. არადა, გვიმტკიცებენ, გინდა თუ არა, ხართო)...

* * *

ბოლო დროს ერთობ ყბადაღებული გახდა თურქეთში ჩვენი „ტურისტების“ (და არა მარტო „ტურისტების“) მიერ ყველაფრის — ნემსიდან დაწყებული და ხეტყით დამთავრებული გაზიდვის, შეიძლება ითქვას, საქართველოს გატანის თემა.

დიახ, ბევრი იწერება, ბევრი ლაპარაკია, „სარფიანად“ დატვირთული ტრანსპორტი კი მიდის და მიდის სარფისაკენ...

ამგვარი „ტურიზმი“ ხელისუფლების მიერ იმით მართლდებოდა, რომ სახელმწიფოს „ტურიტებისაგან“ გადასახადების სახით ვალუტა შემოსდის, ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას კი როგორ სჭირდება ეს ვალუტა, ხომ გასაგებიაო...

კეთილი და პატიოსანი, მით უფრო,რომ როგორც რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნებული ინფორმაციით შევიტყვეთ, ეს შემოსავალი ორ კვირაში 500.000 დოლარს აღწევდა.

გაუგებარი მხოლოდ ის იყო, სად მიდიოდა ეს შემოსული ვალუტა, იგი ხომ არასოდეს არა აქვს სახელმწიფოს წამლების შესაძენად, ავადმყოფების, სტუდენტების საზღვარგარეთ გასაგზავნად (ეს კი არა,როგორც სქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძის 19 იანვრის სატელევიზიო ინტერვიუში აღინიშნა, ირანში გზის მშენებლობის უფლების მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის გადასახდელი 30.000 დოლარიც კი არ ჰქონია საქართველოს, საზღვარგარეთ საელჩოებისა და წარმომადგენლობების გახსნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია).

* * *

სწორედ ეს ვკითხეთ (სად მიდის ეს შემოსული ვალუტა) ჩვენს ხელისუფლებას გაზეთ „საქართველოს“ გასული წლის 3 სექტემბრის ნომერში.

ჩვენ კი ვ(ი)კითხეთ, მაგრამ რად გინდა, იკითხე და იყავი, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“...

რასაკვირველია, არ მაქვს იმედი, რომ ამის შემდეგ, ამ განმეორებითი შეკითხვის შემდეგ მაინც გამოგვეხმაურება ვინმე საიდანც ჯერ არსს.

მაშ, რატომ გავიხსენე ეს ფაქტი?

იმიტომ, რომ სწორედ ამგვარი „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“, „ქვემოდან“ წამოსული შეკითხვების, მიმართვების „წერე და იკითხე“-დ დარჩენაც უჩენს ადამიანს ნოსტალგიას „ძველ,კეთილ დროზე“, როცა მიუხედავად ყველა იმ „სიკეთისა“, რაც კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმისას სუფევდა, ელემენტარული წესრიგი მაინც იყო, ადამიანი ელემენტარულად მაინც იყო დაცული, რაღაცის თუ ვიღაცის, რომელიღაც „ინსტანციის“ იმედი მაინც ჰქონდა (თუნდაც იმისა, რომ გაზეთში დაბეჭდილს ეგზომ უყურადღებოდ ვერ დასტოვებდნენ).

* * *

დიახ, დღევანდელი საყოველთაო ქაოსის, უწესრიგობის, უიმედობის, „უპატრონობის“ მორევში ყველასა და ყველა ინსტანციისაგან მოსროლილ „პატარა ადამიანს“ ის ელემენტარული წესრიგი, დაცულობა, იმედიც უჩენს ნოსტალგიას „იმ დროზე“ და არა მხოლოდ ხუთშანეთიანი ხორცი და ექვსმანეთიანი კარაქი!...

* * *

კი, რასაკვირველია, ეს ქაოსი,არეულობა, „უპატრონობა“, როგორც იტყვიან, მთელი რიგი ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული — ძნელია დამოუკიდებლობის, თავისუფლების გზა, წყობილების შეცვლა (გამოცვლა) და ა.შ. და ეს კარგად ესმით ადამიანებს, მზად არიან გაუწიონ და უწევენ კიდეც ანგარიშს ამ „ობიექტურ რეალობას“, მაგრამ იმასაც ვუყოთ, რაც ამ რეალობის გარეთაა — ე.წ. სუბიექტურ მიზეზებს, რომლებიც კიდევ უფრო ამძიმებენ სიტუაციას?!

ნუთუ ასე ძნელია, შეჭირვებულ, „მომჩივან“ ადამიანებს, თუ ვერაფერს გაუკეთებ, ის მაინც გააკეთო, რომ ყურადღების ღირსად ჩათვალო, ელემენტარული პასუხი აღირსო?! დიდის ამბით რომ გამოაცხადებ, ელექტროდენს ქალაქებს, რაიონებს, უბნებს გრაფიკით, ერთნაირად გამოვურთავთო, მერე ამ გრაფიკებს სამართლიანად დაკვა რომ სჭირდება, ეს რატომ გვავიწყდება?! მაინცადამაინც სახელმწიფოს მეთაურმა თუ არ ასტეხა ერთი ამბავი, ისე ქალაქიდან ნაგვის გატანა არ უნდა იფიქრონ მათ, რომელთაც ეს სამსახურებრივად ევალებათ?!.

* * *

„წვრილმანებია“?! კარგი ბატონო, მსხვილმანებიც გავიხსენოთ.

ერთხელ შესრულებაც თუ არ ძალგვიძს, ხუთჯერ მაინც ნუ დავადგენთ (და ხალხს ხუთჯერ მწარედ ნუ გავაცინებთ) სხვადასხვა შეიარაღებულ ფორმირებათა ერთიან არმიაში გაერთიანებას, მათს ყაზარმებში შეყვანას.

ამდენჯერვე რომ დავპირდებით მოსახლეობას იარაღის ნებაყოფლობით ჩაუბარებლობის შემთხვევაში მის ძალით ამოღებას, ერთხელ მაინც არ უნდა ვცადოთ ამ დანაპირების შესრულება?!.

* * *

ჰოდა, გასაკვირია, ამ განუკითხაობის, ქაოსის, „ლაპარაკისა“ და „გადაუწყვეტელი გადაწყვეტილებების“ მაყურებელ-“მოიმედე“ ადამიანები, ადრე ხუმრობით ნათქვამს, „კომუნიზმში გვიცხოვრიაო“, დღეს უკვე სავსებით სერიოზულად რომ მისტირიან?!.

* * *

სულო ცოდვილო, და ხანდახან ეჭვიც კი შეგეპარება: ეს დალოცვილები მართლა ზ[illegible]ოაინიშნული ნოსტალგიის გაძლ[illegible]ებისთვის ხომ არ მუშაობენ(მე შენ [illegible]ეტყვი, ძნელი სამუშაოა!)?!.

ყოვლადკომუნისტები

ჩვენი ამ შრომა-გამოკვლევის საწყისი პირობაა უკუვაგდოთ ერთი ფეტად გავრცელებული, სასოწარკვეთილების მომგვრელი ცრურწმენა ამის შესახებ, რომ თითქოსდა ბედისწერის გარდუვალობით საქართველო გაწირულია, რომ იგი საერთაშორისო შეთქმულების მსხვერპლია, რომ გარეშე ძალები წარმართავდნენ და წარმართავენ პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში, რომ ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგეძლია და ა.შ. ესიმზიზმის თესვასთან ერთად ამ ცრურწმენის 'მომაკვდინებელი საფრთხე იმაშია, რომ იგი ხელს გვიშლის გავიცნობიეროთ, გავისიგრძეგანოთ ბოლო წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გამეფებულ პოლიტიკურ დესტაბილიზაციაში ჩვენივე საკუთარი წვლილი, ჩვენი დანაშაული, ჩვენივე ცოდვა-ბრალი, რაც დიდზე დიდია და, მაშასადამე, წარსულისა 'და აწმყოს მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით გამოკვეთოთ ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის სამომავლო გზები.

შინაური თუ გარეშე მტერი საქართველოს, ცხადია, არ აკლია. ამპერიული ძალები აშკარად თუ ფარულად, თავიანთი აგენტურის მეშვეობით აფხაზ და ოს სეპარატისტებსა და ექსტრემისტებზე დამყარებით ყოველნაირად ბორკავენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ ჩვენს მისწრაფებას. ეს ასეა, რეალობაა. შეიძლება დავამტოთ: ეს სავსებით ბუნებივი ვითარებაა. ჩვენი, ქართველ მამულიშვილთა მოვალეობა კი მამულის ერიგულებაა, მშვიდობითა და თანხმობით საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობაა. არაბუნებრივი და სავალალო სწორედ ისაა, რომ ურთიერთდაპირისპირებითა და ქიშპით ჩვენ ჩვენივე ხელით ვარღვევთ ჩვენი ძლიერების ბალავარს და მტერთა გასახარელ საქმეს ვაკეთებთ.

თავი რომ დავანებოთ უფრო შორეულ წარსულს, ბოლო წლებში ჩვენი ცოდვა-ბრალი და დანაშაული ქვეყნის წინაშე იმაშია, რომ ვერ გამოვიყენეთ ლვთითა და ისტორიით ბოძებული დაკაკებული შესაძლებლობები, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგინებისა და ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა მძაფრი კონფრონტაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნორმად ვაქციეთ. და ამაში ბრალი მიუძღვის ყველას, უკლებლივ ყველას, იმდროინდელ კომუნისტურ, მართლაც რომ მარიონეტულ მთავრობასაც და ოპოზიციურ არაფორმალურ ორგანიზაციებსაც.

დრომ დაამტკიცა, რომ ყველაფერი რაც ხდებოდა საქართველოში და ხდება დღესაც, 9 აპრილამდეც და განსაკუთრებით 9 აპრილის შემდეგ, უბრალო ადამიანურ ენაზე თუ ვიტყვით, სხვა არაფერი იყო, თუ არა ბრძოლა კარიერისათვის, მაღალი სკამებისათვის და ეკონომიკური სტრუქტურების ნარჩენებისათვის.

საქართველოს ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოძრაობებსა და მათ ლიდერებს შორის არავითარი იდეურ-პოლიტიკური დაპირისპირება არ ყოფილა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ლოზუნგი ყველას პირზე ეკერა თავად კომუნისტების ჩათვლით 9 აპრილის შემდეგ. მათ შორის საერთო იყო ისიც, რომ არავის არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი დამოუკიდებელი საქართველო, რა პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებით აგებული, რუსეთის იმპერიასთან გარდუვალი პოლიტიკური კონფრონტაციისა და მოსალოდნელი ეკონომიკური ბლოკადის შემთხვევაში როგორ გაეტანა თავი, როგორ დაერეგულირებინა და ეკონტროლებინა უკვე გაწყვეტული პოლიტიკური პროცესები ავტონომიებში და ა.შ. ამაზე ფიქრით თავს არავინ იწუხებდა. ყველა, უკლებლივ ყველა პარტია და ორგანიზაცია მხოლოდ საბჭოურ-კომუნისტური პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დაპატრონებისათვის იბრძოდა, ყველა მათ თავიანთი დამოუკიდებელი საქართველოს „აშენება“ სურდა. ყველა პარტია და ორგანიზაცია თავის დამოუკიდებელ „საკარისო ფორმირებას“, თავის შეიარაღებულ რაზმს აყალიბებდა, გახრწნილ საბჭოურ-კომუნისტურ ეკონომიკურ სტრუქტურებში თავის კლანს ქმნიდა და მფარველობდა. ამგვარი „პოლიტიკური ორგანიზაცია“ კი უამრავი იყო და ისინი სულ უფრო მრავლდებოდნენ. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთად და თანხმობით შენება აზრადაც არავის მოსდიოდა. პოლიტიკური ორგანიზაციების სტრატეგია და ტაქტიკა მხოლოდ იმაზე იყო აგებული, თუ როგორ მოეახლოებინათ თავიანთი მოსვლა ხელისუფლების სათავეში, თუ, მაგალითად, რომელიმე ორგანიზაცია მოსახლეობაში სხვებზე მეტ ავტორიტეტს მოიპოვებდა და არჩევნებში მისი გამარჯვების შანსი განდევნოდა, მაშინ სხვებს ამ არჩევნების ჩაშლის ორგანიზება უნდა მოეხდინათ, ანდა, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ და ყველა საშუალებით დამხობისა და ახალ არჩევნებში თავიანთი გამარჯვებისათვის.

არაევთარი რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური საფუძველი თუ მოტივი, არავითარი გასამართლებელი არგუმენტი! სწორედ ზემოხსენებული მიზნით მოაწყეს ბოიკოტი და ჩაშალეს საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 მარტის არჩევნები არაფორმალური ორგანიზაციების, ე.წ. „შეურიგებელი ოპოზიციის“ წარმომადგენლებმა და ამ სანაქებო საქმეში მაშინ ისინი ყველანი ერთად იყვნენ. დაიკარგა შანსი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის მთელი პოლიტიკური ძალების წარმოდგენისა ყველაზე უფრო ფართო სპექტრით, რითაც ძირშივე იქნებოდა გამორიცხული ყოველგვარი დიქტატურისა და ავტორიტარიზმის წარმოშობის საფრთხე. დაიკარგა ძვირფასი დრო. მაღე „შეურიგებელთა“

დასასრული მე-6 გვ.

გურამ ფანჯიკიძე: არა გვაქვს შეცდომის უფლება!

— თქვენივე სიტყვებიდან გამომდინარე, საქართველოს ძალიან გაუჭირდება ისრაელის მსგავსი სარადარო სისტემების შექმნა, ან მაღალორგანიზებული არმიის ჩამოყალიბება და შენახვა. ყოველ შემთხვევაში, პირველ წლებში მაინც. იქნებ სხვა გზებიც არსებობს თავის დასაცავად?

გურამ ფანჯიკიძე — ნათქვამია, ბოძს შეიძლება ვერ გადაახტე, მაგრამ ის კი შეიძლება, გვერდიდან შემოუაროო. ბუნებრივია, მარტო იარაღი და არმია არ განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვას. სწორი პოლიტიკური ორიენტაცია მეზობელი და შორეული ქვეყნების მიმართ თავდაცვისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა. კერძოდ, საქართველომ პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის ჩამოყალიბებისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბევრი ფაქტორი. მე მხოლოდ უმთავრეს მომენტებზე გავამახვილებ ყურადღებას.

1. ჩვენ ვცხოვრობთ მუსლიმანურ სამყაროში. ჩვენთან ერთად მუსლიმანურ გარემოცვაშია ქრისტიანული (გრიგორიანული) სომხეთიც,რაც,თითქოს, უნდა განაპირობებდეს კიდეც ჩვენს ჰეშმარიტ მეგობრობას. მაგრამ, სამწუხაროდ, სომხეთი ვერ გრძნობს ამ მეგობრობის აუცილებლობას. თავში მოტანილ მაგალითს ისიც მინდა დავუმატო, რომ სულ ახლახანს, როცა მათ აზერბაიჯანთან ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვთ და, ქრისტიანობას რომ თავი დავანებოთ, გარესამყაროსთან კავშირი მხოლოდ საქართველოს საშუალებით გააჩნიათ, სომეხ მეცნიერთა გარკვეული წრეები მაინც არ იშლიან პროვოკაციული „მეცნიერული“ ნაშრომებისა და პოპულარული ლიტერატურის გამოცემას და ლამის მთელ სამცხე-ჯავახეთს სომხურ ტერიტორიებად აცხადებენ.

2. საგარეო და, საერთოდ, ჩვენს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში ბევრი რამის გამო, თუნდაც ჩვენი სულიერი წყობის გამო მთავარი ორიენტირი დასავლეთია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, უარყო აღმოსავლეთი. პირიქით, ისლამური სახელმწიფოების მიმართ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ სწორი პოლიტიკური საურთიერთობო მიმართულებანი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისლამურ სახელმწიფოებთან ჩვენ დიდი ეკონომიკური და ენერგეტიკული ურთიერთობანი ჩამოგვიყალიბდება.

კერძოდ: თუ რუსეთი ნავთობის მოწოდებას შეგვიწყვეტს, ვინ მოგვაწვდის დღევანდელი ენერგეტიკის ამ უპირველეს ნედლეულს? ისიც ხომ არ გვავიწყდება, რომ დღეს გაზს მუსულმანური ქვეყნებიდან ვიღებთ?

საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და საგაზაო მდგომარეობა აქვს. ძირითადად ვისი ტვირთი უნდა გაატაროს მან საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს რომ მნიშვნელოვან შემოსავალს შემოუტანს? რასაკვირველია, ირანის, თურქეთის და სხვა ისლამური ქვეყნებისა.

არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ საქართველოს შეიძლება გარკვეული სიძნელეები და კონფლიქტები წარმოექმნას რომელიმე მეზობელ მუსულმანურ ქვეყანასთან. მუსულმანურ მეზობელ ქვეყნებთან საერთო პოლიტიკის შედეგად ასეთი კონფლიქტები ლოკალურ მნიშვნელობას არ უნდა გასცდნენ და არ უნდა იქცნენ ფართო დაპირისპირების წყაროდ და კერად.

წელან სომხეთთან ურთიერთობა ვახსენე. მინდა ჩემი მცირეოდენი დაკვირვება შემოგთავაზოთ. სომხეთმა მშვენივრად იცის, რომ ყველაზე საიმედო კავშირი მსოფლიოსთან საქართველოს გავლით უნდა დაამყაროს. სამწუხაროდ, იგი მარტო მეგობრული ურთიერთობის გზით მოპოვებული კეთილმოსურნე ურთიერთობებით არ კმაყოფილდება. იგი, სხვა ჩვენი მეზობელი ქვეყნებისა არ იყოს, გააფთრებული იბრძვის შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად. აბა დააკვირდით, აფხაზეთს ომმა როგორ დააზარალა სომხეთი, რა გაჭირვებაშია ჩავარდნილი მთელი ქვეყანა! განა სომხებმა სადმე დაგმეს აფხაზთა საქციელი? ჩემი ვარაუდია და მერწმუნეთ, ნამდვილად არ მინდა იგი ვინმეს თავს მოვახვიო, სომხეთი თანაუგრძნობს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფას, და, აი, რატომ. მათ ხომ აფხაზეთის ტერიტორიაზე „დესანტი“ კარგა ხნის წინ და საფუძვლიანად გადასხეს! „სადესანტო“ მოძრაობას კარგად შეუწყო ხელი ქართველთა დაუდევრობამ და ფეხებზემკიდიაობამ, სიხარბემ და მომხვეჭელობამ. თუ აფხაზეთი საქართველოს გამოეყოფა და რუსეთს შეუერთდება, აფხაზეთში მცხოვრები სომხობა ძლიერი რგოლი გახდება ერთიანი სომხური კოლონიისა, რომელიც იქვე, ლესელიძის გადაღმა ადლერიდან იწყება (ადლერში უმრავლესობა სომეხია) და როსტოვში მთავრდება. (როსტროვშიც სომხური მოსახლეობა ქალაქის საერთო მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენს). ჯერჯერობით სომხეთი აზერბაიჯანთან ომითაა „დაკავებული“, პარალელურად მაინც განაგრძობს საქართველოსთან საზღვრების გადასინჯვის ჯერ კიდევ დიდი ხნის წინანდელ „მეცნიერულ“ კვლევა-ძიებას. გვჯერა, სომხეთში საკმაოდ არიან მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც ჰეშმარიტი მეგობრობა სწადიათ საქართველოსთან, თუნდაც იმიტომ, რომ მათ დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირის დამყარება მხოლოდ საქართველოს საშუალებით შეუძლიათ, მაგრამ განა ყოველთვის პროგრესული ძალები იმარჯვებენ სახელმწიფოებში? რასაკვირველია, მათი ნებისმიერი მცდარი ნაბიჯი მარცხისთვისაა განწირული, მაგრამ ჩვენნაირ მცირერიცხოვან ერს აქვს უფლება მხოლოდ მსხვერპლის გაღებით გადაჭრას სახელმწიფოებრივი კონფლიქტები?

ვფიქრობ, დროა სომხეთთან ერთად საფუძლიანად დამუშავდეს ქართულ-სომხური კონცეფცია. იგი ცნობილი უნდა გახდეს მთელი მსოფლიოსათვის. ალბათ დამეთანხმებით, მსოფლიოს ქვეყნების სიმპათია ძალიან ბევრს ნიშნავს საქართველოსათვის. ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენს ორ მოძმე სახელმწიფოს შორის რაიმე კონფლიქტი ჩამოვარდეს, თორემ მერწმუნეთ, საინფორმაციო ომში ჩვენ სომხეთს ვერ დავამარცხებთ. გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, რუსეთის ჩათვლით, ცხოვრობს ექვს მილიონამდე სომეხი.

3. ქართველი ერის პოლიტიკური აზროვნების უსუსურება და უმწიფარობა იქნება, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისას თუ უმნიშვნელოვანეს ადგილს რუსეთთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას არ დავუთმობთ.

პირდაპირ და კატეგორიულად მინდა განვაცხადო, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე საქართველოს ძალიან გაუჭირდება ცხოვრება. მკითხველებს და თქვენც, ბატონო ფელიქს, გთხოვთ, ჯერ ნუ



გაცხარდებით. ოტელოსი არ იყოს, ჯერ შეიცადეთ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა.

დავიწყოთ ეკონომიკიდან. საქართველოში ნავთობი თითქმის მთლიანად შემოდის რუსეთიდან.გაზიც მთლიანად შემოდის რუსეთის ტერიტორიიდან. თქვენ ალბათ იცით, რომ საქართველოს ამ სამი წლის წინ იმ 14,5 მილიონი ტონა პირობითი საწვავიდან, რომელიც მას ყოველწლიურად სჭირდებოდა, 12 მილიონი ტონა შემოჰქონდა. თანაც, შემოჰქნდა თითქმის მთლიანად რუსეთიდან. ასევე, რუსეთიდან შემოგვქონდა მილიონ რვაასი ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე. ამდენი საწვავი ჩვენ კიდევაც ვიყიდოთ სხვა სახელმწიფოებიდან, მათი არამარტო შემოტანა გაგვიჭირდება ბოსფორის სრუტით, არამედ გადმოტვირთვაც კი, ვინაიდან ჩვენი ნავსადგურები თავიანთი შეზღუდული სიმძლავრეების გამო ამას კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერ შეძლებენ. დიახ, ავიაციის და ფლოტის ხვედრითი წილი რკინიგზასთან შედარებით დღეს ძალზე უმნიშვნელოა. აღარაფერს ვლაპარაკობთ, რა დაჯდება ამ გზით შემოტანილი ნედლეული, კიდევაც რომ გადავჭრათ მისი შემოტანის პრობლემა და ეს ყველაფერი რატომ? იმიტომ რომ ვიღაცამ თოდ, ყოფა-ცხოვრებაში, გამოთიშული და უგულებელყოფილია წითელი ფერი? განა შეიძლება, ჩვენი პოლიტიკური, გნებავთ, ეკონომიკური ურთიერთობანი ამ დონეზე განვიხილოთ და წარვმართოთ?

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მინიმუმ ათი წლის მანძილზე ჩვენი ბაზარი ისევ რუსეთი და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები იქნებიან, ვინაიდან საქართველო მსოფლიოს კარგახანს ვერ შესთავაზებს ისეთ საქონელს, საერთაშორისო ბაზარზე რომ დაიმკვიდრებს ადგილს.

შედარებისათვის გერმანიის დამოკრატიული რესპუბლიკის მაგალითი მინდა შეგახსენოთ. ორთავე გერმანიის გაერთიანების შემდეგ ყოფილი დემოკრატიული გერმანია საშინელ დღეშია, იქ დამზადებულმა სამრეწველო და სასურსათო პროდუქციამ ვერავითარი კონკურენცია ვერ გაუწია ფედერაციული გერმანიის პროდუქციას. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თვით რძეც კი აღარ გაიყიდა, ვინაიდან დასავლეთიდან აღმოსავლეთში შემოვიდა მშვენიერ ბოთლებსა თუ პარკებში ცხიმიანობისა თუ სხვა ნიშნებით დაფასოებული რძე. მყიდველს საშუალება მიეცა, თავისი ასაკიდან თუ ჯანმრთელობიდან გამომდინარე, ისეთი რძე შეერჩია, როგორსაც ექიმი ურჩევდა.

გერმანიას ყოფილ [illegible] მისი პროდუქცია ჩვენს მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე რამდენჯერმე მაღალხარისხოვანია, მასზე აღმოსავლეთ ევროპაში თუ ყოფილ საბჭოეთში დიდი მოთხოვნილებაა და ასე თუ ისე, ბაზარი მაინც გააჩნია, ჩვენ კი რა უნდა ვქნათ? სპეციალისტების ვარაუდით, მინიმუმ შვიდი წელი მაინცაა საჭირო, აღმოსავლეთ გერმანიის სამრეწველო პროდუქცია დასავლურს რომ გაუთანაბრდეს. მაგალითები იმიტომ არსებობს ქვეყანაზე, რომ ბევრი რამ ჭკუად ვიღოთ და შეცდომები აღარ გავიმეოროთ.

ამ მიმართულებით კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შემეძლო, მაგრამ, ვფიქრობ, კმარა. ახლა საკითხის პოლიტიკურ მხარეს მივუბრუნდეთ. • რამდენად იოლად დათმობს თავის პოზიციებს რუსეთი საქართველოში და ამიერკავკასიაში? მამა უცხონდაო, შეიძლება მითხრათ თქვენ, მართალიც იქნებით, მაგრამ, აბა, დააკვირდით,რა ხდება ამიერკავკასიაში! ყარაბახის ომი, ეთნოკონფლიქტები საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიაში... როგორ გგონიათ, ვინ არის ყველა ამ უბედურების წამქეზებელი, ორგანიზატორი და ხელშემწყობი? რასაკვირველია, რუსეთი. ელცინს და მის დემოკრატიულ ფრთას, თუკი ისინი მართლა დემოკრატები არიან, ან არ შესწევთ უნარი, გაუმკლავდნენ რეაქციულ ძალებს, ან ისინი სადღაც, უჩინრად თანაუგრძნობენ კიდეც მათ.

ქვეყანა, რომელიც გუშინ ავღანეთის დამორჩილებაზე და იქიდან, თანდათანობით, ინდოეთის ოკეანეში გაჭრაზე ოცნებობდა, ქვეყანა, რომელიც თვით უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩავარდნილი და სულის მღაფავი, მილიარდობით დოლარის სანაცვლოდ არ თმობს იაპონიის კუთვნილ კურილიის კუნძულებს, ჯადოსნური კვერთხის მოქნევით გახდა სამართლიანი და ჰეშმარიტად დემოკრატიული?!

რატომ ვხუჭავთ თვალს სინამდვილის წინაშე?!

რატომ არ გვინდა თვალი გავუსწოროთ რეალურ საფრთხეს?!

ან იქნებ გვგონია, რომ რუსეთში დემოკრატიამ ნამდვილად გაიმარჯვა?

საქართველო კი არა, მთელი მსოფლიო უწევს ანგარიშს რუსეთში მიმდინარე პროცესებს. აი, რას წერდა 1992 წლის ნოემბერში ამერიკელი პუბლიცისტი ლევ ნავროზოვი: „სადღეისოდ, 17 ნოემბრისათვის, არსებობს ელცინის მთავრობა გარკვეული შემადგენლობით. ამას ვწერ მთელი ეს წელიწადია, დასავლეთი რომ უგუნური არ -ყოფილიყო, ამ მთავრობას ყოველწლიურად მისცემდა სულ ცოტა 100 მილიარდ დოლარს — არა იმ ვარაუდით, რომ ცოტა ხანში რუსეთში ეხილა კაპიტალიზმის აყვავება, არამედ თუნდაც იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა ელცინის მთავრობის არსებული რეჟიმი და წინააღმდეგობა იმისა, რომ რუსეთში გახელისუფლებულიყვნენ ისინი, ვინც ესწრაფვის მსოფლიო ბატონობას ზეიარაღის შემუშავების წყალობით“.

და როგორ გგონიათ, ბატონო ფელიქს, რა მისცეს ის 100 მილიარდი დოლარი რუსეთს?

სხვათა შორის, იგივე ლევ ნავროზოვმა ამერიკაში კოლუმბიის უნივერსიტეტში შეხვედრისას ჰკითხა გაზეთ „დენის“ რედაქტორს ალექსანდრე პრიხანოვს, სტალინისტს, რომელსაც რედოლეგიაში ჰყავს ბაბურინი, ალქს-

მწერალი და ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისი და სხვები:

„დავუშვათ, თქვენი წინასწარმეტყველება ახდა, ელცინის მთავრობა გაქრა, დაისაჯა იმიტომ, რომ რუსეთში საშემოდგომოდ ვერ ააღორძინა კაპიტალიზმი, ხოლო გაზაფხულზე სანაცვლოდ სტალინიზმი გახელისუფალდა. კი, ბატონო, მაგრამ სტალინიზმი ხომ უფსკრულია“.

აი, პროხანოვის პასუხიც:

„სავსებით სამართლიანად სწუხართ, მაგრამ რუსეთი მაინც დაღუპვის პირას არის მისული, ასე რომ, აჯობებს გავრისკოთ, ვიდრე დაღუპვის მოლოდინში ვძრწოდეთ“.

შეიძლება მითხრათ, ვინაა პროხანოვი, ან მისი სიტყვები რა მოსატანიაო. ვერ დაგეთანხმებით. პროხანოვის უკან მილიონები დგანან. მათ მხარესაა რუსეთის არმიის დიდი ნაწილი და თითქმის მთლიანად ძველი და საშუალო თაობის ოფიცრობა.

ნუ გვექნება ილუზიები, რომ ქუვეითივით დაგვეხმარებიან, ჯერ ერთი, საქართველოსათვის ყოველი კაცის დაკარგვა უკვე უზარმაზარი დანაკლისია, ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, მრავალმილიონიანი არაბული სამყარო კი არა. თანაც ქუვეითის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მეორე მხარეს იდგა სადამ ჰუსეინი და არა რუსეთი— მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო ქვეყანა. მეორეც, საქართველოს ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა როდი აქვს მსოფლიოსათვის, როგორც ქუვეითს. შეგახსენებთ, რომ ქუვეითის ნავთობის საბადოები შეიცავს მსოფლიო ნავთობის მარაგის შეოთხედს, 25 პროცენტს. ხოლო თუ მას საუდის არაბეთსაც მივუმატებთ, სპარსეთის ყურის ნავთობის საბადოების ხვედრითი წილი იქნება მსოფლიო ნავთობის მარაგის 66 პროცენტი.

საკითხი რომ კიდევ უფრო ნათელი იყოს, მოვიტან რამდენიმე მაგალითს. იაპონია წელიწადში ხარჯავს 900 მილიონ ტონა ნავთობს (შედარებისათვის, 1937 წელს მხოლოდ 60 მილიონი ტონა ჰყოფნიდა). ამ 900 მილიონი ტონიდან უცხოეთიდან შეაქვს 91 პროცენტი, ხოლო შეტანილი ნავთობიდან კუვეიტის წილად მოდის 64 პროცენტი. ამერიკელები ყოველდღიურად ხარჯავენ 9 მილიონ ბარ ნავთობს და ამ უზარმაზარი რაოდენობიდან ქუვეითის ნავთობის წილად მოდის თითქმის 9 პროცენტი. მინდა მოგახსენოთ, ბატონო ფელიქს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს, რაც შეიძლება მინიმალურად დახარჯოს საკუთარი ნავთობი. ამერიკას ლუიზიანას შტატის მარილოვან საბადოებში შენახული აქვს „სტრატეგიული ნავთობის“ დიდი და ხელუხლებელი მარაგი. ქუვეითის კრიზისის დღეებში კი ჯორჯ ბუში იძულებული გახდა, ბრძანება გაეცა „სტრატეგიული მარაგის“ გარკვეული ნაწილი გაეშვათ წარმოებაში.

სამართლიანად წერდნენ მაშინ, ერაყის აგრესია ქუვეითის მიმართ არისო აგრესია მსოფლიო ეკონომიკური სამყაროს მიმართ.

„ვაშინგტონ პოსტი“ კი, კერძოდ, წერდა: „თუ სპარსეთის ყურის ნავთობი (ქუვეითი, საუდის არაბეთი) ხელში ჩაუვარდა სადამ ჰუსეინს, იგი მთლიანად არეგულირებს ნავთობის მოპოვებისა და გასაღების პროცესებს, აგრეთვე შეძლებს ნავთობის პროდუქცია გაცვალოს ყველა სახეობის პროდუქციაში, მათ შორის ატომურ იარაღშიც“.

აღარაფერს ვიტყვი, რა დღეში ჩავარდნენ სხვა სახელმწიფოები. ამიტომაც იყო მსოფლიო ასე ერთსულოვანი კუვეიტის დასაცავად გამართულ ომში.

იგივე ოპერატიულობით როდი ჩარეულა მსოფლიო ავღანეთისა თუ სხვა ქვეყნების მიმართ გაჩაღებულ უსამართლო ომებში!

ამიტომ პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის დროს არ გვაქვს უფლება, ერთი წამითაც რომ მოვწყდეთ რეალობას.

4. სპარსეთთან ურთიერთობა ერთი უმთავრესი მოვლენაა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. წელან ჩვენ ორიოდე სიტყვით ენერგეტიკულ მომენტებსაც შევეხეთ, როდემდე უნდა ვიყოთ იმის შიშში, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ხან ნავთობს გადაგვიკეტავენ და ხან გაზს?! ირანიდან არამარტო ნავთობისა და გაზის მიღება შეგვიძლია. (ბევრ სხვა სიკეთეზე აღარ ვილაპარაკებ), არამედ ევროპისაკენ მიმავალი ნავთობისა და გაზსადენების ჩვენს ტერიტორიაზე გავლაც კი ბევრ ეკონომიკურ სიკეთეს მოგვიტანს. ირანის საშუალებით არამარტო გავატარებთ თვით ირანისა და სხვა ქვეყნების ტვირთს, უშუალოდ დავუკავშირდებით არაბულ სამყაროს.

ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და, რასაკვირველია, ეროვნულ პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თურქეთს და იქ მცხოვრებ ორ მილიონ (ზოგიერთი ცნობით 4 მილიონ) ქართველს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა აფხაზებთან ომს პროვოკატორები რელიგიურ ომად წარმოსახავდნენ, მაშინ ჩვენ ვერც კი გამოვიყენეთ შესანიშნავი კოზირი მუსულმანი ქართველების სახით. თურქეთში მცხოვრებ ქართველთა სწორი ინფორმაციითა და სწორი ორიენტაციით, სწორედ მუსულმანურ სამყაროში შეგვიძლია საქართველოს აღიარება და სიმპათია მოვუპოვოთ. ვინ მოგვცა უფლება, არ ვიზრუნოთ სრულიად საქართველოსათვის?! რასაკვირველია, თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობა ბევრ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ასპექტებთან არის დაკავშირებული, ამიტომაც დიდი სიფრთხილე, ტაქტი და წინდახედულება გვმართებს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მსოფლიო მაინც მიდის წინ.

ამიტომაცაა საშინელება, როცა მიტინგებზე, პრესაში თუ ტელევიზიაში გაისმის ხოლმე ყოვლად უპასუხისმგებლო მოწოდებანი — ქართველები მხოლოდ ქრისტიანები (თანაც მხოლოდ მართლმადიდებლები) არიანო. ერთ წვეთ ძმარს შეუძლია ერთი კასრი ღვინო დააძმაროს, ერთ წვეთ შხამს შეუძლია მთელი ჭა მოწამლოს...

აღარაფერს ვამბობ დასავლეთთან ურთიერთობაზე, რადგან ვფიქრობ, ეს პრობლემა ჩვენთვის გაცილებით ნათელია.

ერთი სიტყვით, დღეს საქართველომ თავისი თავდაცვისუნარიანობა პირველ რიგში სწორი პოლიტიკური სტრატეგიითა და ტაქტიკით უნდა განახორციელოს.

— რუსეთის ჯარების გაყვანაზე რას იტყოდით?

გ. ფ. — რასაკვირველია, თუკი დამოუკიდებელი ქვეყანა ხარ, სხვისი ჯარი რატომ უნდა იყოს შენს ტერიტორიაზე?!

თუმცა, გულახდილად გეტყვით, მეცინება ხოლმე, რომ ამბობდნენ და ამბობენ, რუსის ჯარმა ერთ თვეში დატოვოს აქაურობაო. ერთხელ, ჯერ კიდევ კომუნისტების დამხობამდე, თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში მომიწია სიტყვის თქმა. ჩემს წინ გამოსულმა ყმაწვილმა კატეგორიულად მოითხოვა, რუსეთის არმიამ ათ დღეში დატოვოს საქართველოს საზღვრებიო. ჩემს გამოსვლაში იმ ახალგაზრდას „შევეხვეწე“, ათი დღე მეტისმეტად ცოტაა, იქნებ ორი კვირის ვადა მივცეთ-მეთქი.

უბედურება ის იყო, რომ ამ. აბსურდულ მოწოდებას მაღალკვალიფიციური აუდიტორიაც კი ფეხზე წამოდგომით, აღტაცებული ყიჟინით და შეძახილებით შეხვდა.

ჯერ რვა, შემდეგ კი 12 მილიარდი მარკა გაიღო დასავლეთ გერმანიამ, საბჭოთა ჯარებს გერმანიის ტერიტორია რომ დაეტოვებინათ. საბჭოთა კავშირის (შემდგომ ყოფილი იმპერიის) ტერიტორიაზე სამხედრო დასახლებების ასაგებად მასალაც, სპეციალისტებიცა და მშენებლებიც თვითონ გამოყო. ჯარების სრული გამოყვანა კი მხოლოდ 1994 წლის ბოლოსათვის თუ იქნება შესაძლებელი, ჩვენ რომ რუსეთს ჯარის გასაყვანად ათ დღეს, ორ კვირას ან თუნდაც ერთ თვეს ვაძლევთ, ცოტა გულუბრყვილოდ და სასაცილოდ ხომ არ გამოვიყურებით?

ამ აბსურდული მოწოდების ავტორები ან ვერ ერკვევიან საქმის არსში, ან მშვენივრად ერკვევიან, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი ხალხის თვალში პოპულარობის მოპოვებას ცდილობენ.

სამწუხაროდ, ერთიც უბედურებაა და მეორეც. თუმცა, მეორე უფრო დიდი უბედურება მგონია, როცა პოპულარობის, „ჭეშმარიტი პატრიოტისა და „უშიშარი მოღვაწის“ სახელის მოსაპოვებლად დემაგოგიურად სწირავენ საქართველოს ინტერესებს.

რასაკვირველია, რუსეთმა საქართველოდან ჯარები უნდა გაიყვანოს. ჩვენ კი ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ერთმანეთს მტრებად კი არა, მეგობრებად დავშორდეთ. თუ მეგობრებად არა, კეთილ მეზობლებად მაინც. თანაც მათგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი უნდა ვნახოთ. იქნებ გამოცდილი სპეციალისტები დავიტოვოთ კიდეც. მოგეხსენებათ, თანამედროვე კავშირის საშუალებანი, რაკეტების მართვა, რთული სარადარო სისტემანი უმაღლესი კლასის სპეციალისტებს საჭიროებს. ჩვენ კი შესაბამისი კადრები არ გაგვაჩნია. ისინი არამარტო იმსახურებენ, ახალგაზრდების, მომავალი სამხედრო სპეციალისტების აღზრდასაც იკისრებენ.

საერთოდ კი, ჩვენი საკუთარი სამხედრო ფორმირებების, იარაღისა და „გამოცდილების“ მქონე ქვეყანას არ გვაწყენდა, დაქირავებული არმია გვყოლოდა. თავში ვთქვი, ავადმყოფი ისრაელელი ყმაწვილები და გოგონები ჯანმრთელობის ყალბ სამედიცინო ცნობებს შოულობენ, რომ ჯარში წავიდნენ-მეთქი. თანაც ისრაელს როცა უჭირს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩადიან იქ ებრაელები ისტორიული სამშობლოს დასაცავად.

ჩვენთან კი?

ერთნი რომ ომობენ, მეორენი „ნაღდ შოუს“ თამაშობენ. ასეულობით დოლარისა და ასეულ ათასობით მანეთის საფასურად უცხოეთში მოგზაურობენ. ჯარში წასვლას თავს არიდებენ, კერძო უმაღლეს სასწავლებლებშიც კი ჯავშანი აქვთ შემოღებული. მშობლებიც კი არ ერიდებიან მაქინაციებს, შვილები რომ ჯარში და, მითუმეტეს, საომრად არ გაუშვან.

ასე გვინდა შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა?

დაქირავებული ჯარი, განსაკუთრებით მესაზღვრეები, ჰაერივით სჭირდება საქართველოს.

დაქირავებული ჯარის იდეა ასე არ გამიგოთ, თითქოს ქართველმა ახალგაზრდამ სავალდებულო სამსახური არ უნდა მოიხადოს. ჩვენ უნდა ავიტაცოთ ისრაელის პრინციპი — ყველა ქართველი და რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენლებიც ჯარისკაცი!

უნდა შევეგუოთ სამხედრო ბეგარასაც, დიდ სახელმწიფოებრივ ხარჯებსაც. რას ვიზამთ, თავისუფლება ძვირადღირებული სიამოვნებაა.

აბა, ერთხელ კიდევ წარმოვიდგინოთ დღევანდელი საქართველო: რუსეთისა და აფხაზეთის დახმარებით ოსეთი გვიტევს, მთიელ ხალხთა კონფედერაცია გვიტევს. მათ აფხაზეთი უკვე თავის ნაწილად მიაჩნიათ, კონფედერაციის დედაქალაქად სოხუმი გამოა ცხადეს.

სტრატეგიაც შეიმუშავეს, რუსეთს კაზაკებით დასახლებულ მიწებს ვერ წავართმევთ, სამაგიეროდ, საქართველოს იოლად „ჩამოვაჭრით“ რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთსა და სამეგრელოს. ახლა წარმოიდგინეთ, რა განზრახვა უდევთ გულში და არამარტო გულში შესაბამის სახელმწიფოებს.

ჯრაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, დღესდღეობით საქართველოსადმი ყველაზე უფრო კეთილგანწყობილად არიან ჩვენი ისტორიული მტრები თურქეთი და ირანი, თუმცა, დრო გამოაჩენს, რამდენად გულწრფელია მათი მეგობრობა.

— თქვენ წელან გაკვრით ილაპარაკეთ ენერგეტიკის, ე.ი. სახელმწიფოს სასიცოცხლო პრობლემებზე. იქნებ უფრო ფართოდ გამოთქვათ თქვენი მოსაზრებანი?

გ.ფ. — დიდი სიამოვნებით, ოღონდ ჯერ გავიხსენებ, რაც 1989 წელს ვთქვი.

„როგორ უნდა გადავჭრათ ენერგეტიკის საკითხები? — ვწერდი მაშინ — მოგეხსენებათ, დღესდღეობით საქართველო ერთ სულ მოსახლეზე მოსული ელექტროენერგიით დაახლოებით 2600 კვ. წელიწადში საგრძნობლად ჩამორჩება საკავშირო საშუალო მაჩვენებელს (დაახლ. 5200 კვ. წელიწადში).

არც ესაა მთავარი. საქართველო წელიწადში ხარჯავს თითხმეტ მილიონ ხუთასი ათას ტონა პირობით საწვავს (ნავთობი, გაზი, ქვანახშირი და ა.შ.), აქედან რესპუბლიკის წილად მოდის 2 მილიონ 500 ათას ტონა საწვავი. დანარჩენი თორმეტი მილიონი ტონა შემოგვაქვს. ერთი ტონა პირობითი საწვავის ფასი გახლავთ 35 მანეთი. დამოუკიდებელი საქართველო იძულებული გახდება, საწვავი შეიძინოს ვალუტით და მისი საერთაშორისო ღირებულებით — ტონა 100 დოლარად, რაც იმას ნიშნავს, რომ 12 მილიონი ტონა საწვავი დამოუკიდებელ საქართველოს დაუჯდება მილიარდ ორასი მილიონი დოლარი.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენერგეტიკული ხარჯები ნორმალურ ცივილიზებულ ქვეყანაში ყოველწლიურად თითქმის შვიდი პროცენტით იზრდება. ტექნიკურ პროგრესსა და ოჯახურ კომფორტს რომ თავი დავანებოთ, ვერტიკალური მშენებლობა, რაც გარდაუვალია მცირემიწიანი საქართველოსათვის, სალიფტო ელექტროენერგია, სატრანსპორტო ელექტროხარჯის განუხრელი ზრდა, გარდაუვალი მოვლენებია, რომლებსაც ვერაფრით ვერ გავექცევით. რასაკვირველია, მრეწველობის სწორი დაგეგმვა და სწორი ორგანიზაცია გამოანთავისუფლებს ელექტროენერგიის არცთუ უმნიშვნელო რაოდენობას, მაგრამ, დამეთანხმებით, ენერგეტიკის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესი და ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა“.

დღეს რას დავუმატებდი ჩემს მაშინდელ ნათქვამს? რასაკვირველია, იმასვე რაც მაშინაც შემეძლო დამემატებინა.

ჩვენში, რატომღაც, შეიქმნა ენერგეტიკული იმიჯი, ისევე, როგორც ბევრი სხვა იმიჯი, ვთქვათ, საქართველოს მარტო ბორჯომი, მარტო ჩაი ან მარგანეცი შეინახავსო, რომ საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში მოპოვებული ელექტროენერგიით, რომ ჩვენი ენერგია მიაქვს რუსეთს, უფრო მეტიც, რუსეთი თურქეთში ყიდის საქართველოს ელექტროენერგიას. ფაქტობრივად, როგორაა საქმე? როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, საქართველოში 1989 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 2600 კილოვატი წელიწადში, მაშინ, როცა საკავშირო საშუალო მაჩვენებელი იყო 5.200 კილოვატი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენში ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული პიკური ენერგიის პროცენტი მნიშვნელოვნად მაღალია და მისი შემდგომი ზრდაც ძალზე სასურველია. მაგრამ არსებობს ბაზისური ენერგიაც. ერთ სულ მოსახლეზე მომავალში ბაზისური ენერგიის გაზრდა უფრო აუცილებელი გახდება. ისიც გავიხსენოთ, პიკური ენერგია საქართველოს გაზაფხულზე აქვს დიდი, მდინარეების წყალდიდობისას. ვინაიდან ჩვენ საერთო საკავშირო ენერგოსისტემაში ვიყავით ჩართული, გაზაფხულზე ჩვენმ ჭარბი ენერგია რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მიდიოდა. სამაგიეროდ, მდინარეების დაშრობის შემდეგ და ზამთარში აქეთ გვაწვდიდნენ ელექტროენერგიას. მე ახლა ასე სახელდახელოდ მიჭირს საშუალო რიცხვის დასახელება, თუ რამდენ ელექტროენერგიას ვყიდულობდით ყოველწლიურად. თანაც, კიდევ ვიმეორებ, მსოფლიოში პირველ ადგილზე კი არა, კავშირში ვიყავით უკანასკნელ ადგილზე ერთ სულ მოსახლეზე მოსული ელექტროენერგიის რაოდენობით თანაც. ნუ დაგვავიწყდება, საქართველოს ჰიდროელსადგურები აძლევენ მთელი ენერგიის მხოლოდ 16 პროცენტს. დანარჩენ ელექტროენერგიას ვიღებთ თბოელექტროსადგურებში, სადაც საწვავად შემოტანილი ორგანული საწვავი გამოიყენება, ხოლო, რა გვიჯდება დღეს ორგანული საწვავის შემოტანა, თქვენთვის უკვე ცნობილია.

ენერგეტიკის გარეშე წარმოუდგენელია სახელმწიფოს ინდუსტრია. აქამდე საქართველოში ყველაფერი ცენტრალიზებულად შენდებოდა იმპერიის საერთო მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. ამდენად, ბევრი ქარხანა და საწარმო ალბათ შეუსაბამო იქნება დღევანდელი

გაგრძელება მე-8 გვ.

„მილიციას მხოლოდ სახელი შეეცვალა“

— ამბობს დიღმის მილიციის უფროსი ვაჟა ასათიანი

საქართველოში გამეფებულმა უკანონობამ და განუკითხაობამ, უწინარესად, წესრიგის დამცველებს გაუჩინა პრობლემები.

ხალხი დაუცველია, ვამბობთ ჩვენ. მაგრამ ასევე დაუცველი არიან თავად პოლიციის თანამშრომლები. რამდენიმე პიროვნების მიერ გამოცხადებულმა ამნისტიამ გააკვიპუფლა უამრავი საშიში ბოროტმოქმედი, რომელთა გაუვნებელყოფას, თავის დროზე, წესრიგის დამცველთა სიცოცხლე ეწირებოდა.

საქართველოში არასდროს ყოფილა ამდენი ბოროტმოქმედი. მაგრამ არც არასდროს ყოფილა ასევე ზედაპირული ბრძოლა მათ წინააღმდეგ. პოლიცია ფაქტიურად უძლურია ქმედითად ებრძოლოს ბანდიტიზმს, ნარკომანიას, პოლიტიკურ ტერორს და განუკითხაობას.

იმაზე, თუ რა პრობლემები დგას დღეს პოლიციის წინაშე, რა სუბიექტური და ობიექტური ხასიათის მიზეზები უშლის მას ხელს, ეფექტურად ებრძოლოს დანაშაულობებს, გვესაუბრება დიღმის მილიციის უფროსი ვაჟა ასათიანი.

ვ.ა — პრობლემები, რომლებიც პოლიციის წინაშე დგას, მარტო ჩვენი პრობლემები არ არის, არამედ მთელი საზოგადოებისა, მაგრამ სავალალოა ის, რომ ჩვენ არ გვაქვს ამ პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები. მიზეზი უამრავია. უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ უწესრიგობა და უდისციპლინობა, უპასუხისმგებლობა სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების დროს. ამავე დროს მილიციას ყველა მთავრობამ „თითო ქიშტი წაჰკრა“. 1988 წლიდან მოყოლებული, მილიცია თანდათან კარგავდა თავის სახეს და ფუნქციას: გვართმევდნენ იარაღს, გვერეკებოდნენ მიტინგების დასაცავად, ნათლიმამობის წყალობით ორგანოში მოდიოდნენ არაპროფესიონალები, განუკითხავად ხდებოდა აგენტურის ლეგალიზება, რაც ხელს უშლიდა ოპერატიულ მუშაობას... რომელი ერთი ჩამოვთვალო. და დღესაც იგივე მდგომარეობაა.

პოლიციას მხოლოდ სახელი შეეცვალა, სტრუქტურები და ფუნქცია კი იგივე დარჩა. ჩვენს რაიონში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 10 კაცზე გადადის. არ გვყავს ტრანსპორტი, არ გვაქვს ბენზინი. ხშირად არის შემთხვევა, რომ დანაშაულზე ფეხით მივდივართ. ადრე მოსკოვში და ბაქოში მივდევდით დამნაშავეს, დღეს კი ზესტაფონში ვერ გაგვიგზავნია თანამშრომელი.

მარტო ბენზინზე ჩვენი ჯიბიდან 180 000 მანეთი გვეხარჯება თვეში.

1991 წელს ასეთი შემთხვევა მოხდა. ერთ ცნობილ ექიმს მანქანა მოპპარეს. აგენტების მეშვეობით ჩვენ დავადგინეთ კოორდინატები და მანქანა თურქეთიდან ჩამოვიყვანეთ. დღეს კი ახმეტაში ვერ ჩავდივართ. მოპარული მანქანები დღეს ნარკოტიკებზე იცვლება აზერბაიჯანში და კაცშვილი არაა გამკითხავი.

ადრე თანამშრომელთა რაოდენობა 28—30 კაცი იყო, მაგრამ დღეს ეს რაოდენობა ვეღარ აუდის საქმეს, რადგან დანაშაულებათა რიცხვი კატასტროფულად იზრდება.

დაბალია მატერიალური დაინტერესება. ერთადერთი შემხვევა იყო, როცა ფირმის საქმე გავხსენით და მოპარული საქონელი უკლებლივ დავუბრუნეთ პატრონს. ამ ფირმამ 40 000 მანეთით დაგვაჯილდოვა. უფრო ხშირად კი ჩვენთვის მადლობის თქმაც არ ემეტებათ.

ყველაზე მეტად ბიჭებს ის უტეხთ გულს, რომ თავისი შრომის შედეგს ვერ ხედავენ. დამნაშავეს სიცოცხლის ფასად შევიპყრობთ და ორ დღეში დამნაშავე ქუჩაში ურცხვად შეგხვდება.

მოსვენებას არ გვაძლევენ შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები. ამასწინათ, ერთ-ერთ ჩვენს მუშაკს ფეხებში ესროლეს. იყო სხვა შემთხვევებიც. მე ყველა შეიარაღებულ ფორმირებას პატივს ვცემ. მეტსაც გეტყვით, კაცი, რომელიც მე ადრე დანაშაულზე დავიჭირე, აფხაზეთში სამშობლოს დაცვას შეეწირა. ყველა მებრძოლი, განურჩევლად მათი წარსულისა, პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ იქიდან რომ ჩამოვლენ, ნუ ჩაგვამწარებენ ყველაფერს. ისინი აქეთ უნდა გვეხმარებოდნენ წესრიგის დაცვაში.

მილიცია დღეს ჩაუცმელ-დაუხუررავია. ძველი ფორმა შემოგვაცვდა, ახალზე კი არავინ ზრუნავს. მილიციის ფორმიანი კაცის დანახვა ხალხს მოენატრა. იყო შემთხვევა, დამირეკეს, ეზოში შეიარაღებული ხალხი დადისო. მივედი და ჩემი თანამშრომლები აღმოჩნდნენ. აი, ასეა. ხალხი ვერ გებულობს, ვინ მილიციაა და ვინ ყაჩაღი.

ცხრა თანამშრომელი უიარაღოდ მყავს. ტყვია-წამალს ჩვენი ფულით ვიძენთ, ისიც, ძირითადად, ავტომატის ტყვიებს, „მაკაროვის“ ტყვიები საერთოდ არ იშოვება... ეჰ, რა ვიცი, რომელი ერთი პრობლემა ჩამოგითვალოთ...

ნარკომანია შავი ჭირივით მოედო საქართველოს სხეულს და ყოველღიურად აძაბუნებს მას. ნარკომანია — ავადმყოფობაა, მიიჩნევენ ერთნი — და ნარკომანს მკურნალობა სჭირდება. ნარკომანია — დანაშაული და ბოროტებაა და ნარკომანს მკურნალობა კი არა — ციხე სჭირდება, ამბობენ სხვები. სანამ ჩვენ ომის დადგენაში ვართ, თუ რა არის ნარკომანია, ამასობაში თვალსა და ხელს შუა გვეცლება ჯანსაღი ახალგაზრდობა — ერის მომავალი, მისი გენოფონდი.

80-იან წლებში, როცა ნარკომანიასთან დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა ნარკომანი იმ მტერს შეადარა, რომელსაც სიკვდილი და გადაშენება მოაქვს.

ვ. ასათიანი:— ნარკომანიამ მთელი საქართველო მოიცვა. ჩვენს რაიონში ძალიან მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ. საუბედუროდ, ჩვენ უკვე ვეღარ ვებრძვით ნარკომანიას, უფრო სწორად არა გვაქვს საშუალება, ვებრძოლოთ მას. რატომ? ადრე ნარკომანს დავიჭერდით თუ არა, მაშინვე ვაწვენდით სამკურნალო იზოლატორში, განმეორების შემთხვევაში კი ციხეში ვუშვებდით. იცით, ალბათ, საგარეჯოში იყო პროფილაქტიკური საავადმყოფო. ახლა კი ნარკომანს ვეკითხები, სურს თუ არა ძაღრლა სამკურნალოდ. ბუნებრივია, არავინ თანხმდება. დღეს საგარეჯოს პროფილაქტორიუმი აღარ ფუნქციონირებს. თუ როგორი მკურნალობა იყო იქ თავის დროზე, ეს ცალკე საკითხავია, მაგრამ ნარკომანს რაღაცის შიში და რიდი ჰქონდა.

საერთოდ, ნარკომანიასთან დაკავშირებით ჩვენს რაიონში კარგა ხანია საქმე არ აღძრულა.

ამას წინათ ტელევიზიით მოვისმინე, რომ ნარკომანია ავადმყოფობაა და არა დანაშაულიო. დიახ, ეს ავადმყოფობაა, მაგრამ ისეთი ავადმყოფობაა, რომლის მატარებელი დაინტერესებულია სხვებს გადასდოს იგი. განა არ ისჯება სისხლის სამართლის მიხედვით, ვთქვათ, შიდსით დაავადებული, რომელმაც იცის რომ უკურნებელი სენი სჭირს და მაინც სხვას გადასდებს?

ნაკომანები იზოლირებული უნდა იყვნენ საზოგადოებისაგან, როგორც კეთროვნები, თორემ საქართველო დაიღუპება.

მე ვიცი შემთხვევები, როცა ნარკომანს ცოლი დაუგირავებია ნარკოტიკში. ასეთ ადამიანებზე მეუბნებიან, ავადმყოფიაო! მანქანებს ცვლიან ნარკოტიკებში. სამკურნალო დაწესებულება უნდა გახსნას ყველა კუთხეში, რადგან ერთი და ორი პროფილაქტორიუმი ვერ უმკურნალებს ამდენ ნარკომანს. მაგალითად, ცაგერის რაიონში 18 000 მოსახლეა და აქედან ნახევარი ნარკომანია.

თანაც პროფილაქტორიუმები იზოლირებული და კარგად დაცული უნდა იყოს, რომ ჩიტიც ვერ შეფრინდეს იქ. სჯობს ყველას დაგვაკლონ ხელფასი და იქ მომუშავე პერსონალს მისცენ.

ნაკომანია საქართველოსთვის კატასტროფაა. ეს არის ომი ტყვიის გაუსროლელად. ნარკომანია მარტო თავის თავს არ სპობს, იგი შთამომავლობასაც ამახინჯებს. მე მილიციონერი ვარ და გულახდილად გეტყვით, ქურდს მეტ პატივს ვცემ, ვიდრე ნარკომანს. ქურდის შვილი, შესაძლოა, აკადემიკოსი გამოვიდეს, ნაკომანი კი თავის შვილს მომავალს უსპობს.

ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საზოგადოება უნდა დაირაზმოს და გამოვიდეს კანონი, სადაც განსაზღვრული იქნება ყველა დეტალი და რაც მთავარია, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადდე ყველას, ვინც ავრცელებს ნარკოტიკულ საშუალებებს.

ესაუბრა კობა ლიკლიკაძე

ყოვლადკომუნისტები

გაგრძელება. დასაწყისი მე-3 გვ.

ერთიანი ფრონტი დაიშალა. 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მიღო და დიდი გამარჯვებაც მოიპოვა ყოფილ „ბოიკოტისტთა“ ერთმა, მოსახლეობაში პოპულარობამოხვეჭილმა ნაწილმა, მეორე ნაწილმა კი კვლავ ბოიკოტს მიმართა „მრგვალთა“ ხელისუფლების უმოკლეს ხანში დისკრეტიზაციისა და დამხობის განზრახვით. მართალია „მრგვალთა“ ხელისუფლებამ იმედი არ გაუმტყუნა მათ, იმარჯვა და არსებითად თავადვე მოახდინა საკუთარი თავის დისკრედიტირება და თავდამხობა შინაგანი განხეთქილების გზით, მაგრამ მაინც ვიკითხოთ, ყველა პოლიტიკური ძალა რომ ყოფილიყო წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში განა ლაგამი არ ამოედებოდა დღეს იმ ყბადაღებულ ავტორიტარიზმს, „მრგვალთა“ თავნებობასა და ავანტურიზმს? და ისევ ახალი ტრაგიკომედია მსახიობთა როლების შეცვლით: გასულ წელს ჩატარებულ კიდევ ერთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და პარლამენტში ხელახლა მრავალრიცხოვანი დეპუტატიც გაიყვანა ყოფილმა ოპოზიციამ, სამაგიეროდ ბოიკოტი გამოაცხადეს ახლა უკვე ყოფილი ხელისუფლების მომხრეებმა, „ნაციმა მრგვალებმა“ ისევ და ისევ დღევანდელი ხელისუფლების სწრაფი დისკრეტიზირებისა და დამხობის განზრახვით.

ქალბატონ ირინა სარიშვილის წერილში „შემოდგომაც დადგება“, რომელიც გასული წლის დეკემბერშია გამოქვეყნებული (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 დეკემბერი 1992 წ.) და რომელსაც ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი შემაჯამებელი ანალიზის პრეტენზია აქვს, არის ასეთი ფრაზა: „ყველამ ჩვენს გულში ჩავიხედოთ— - დღევანდელ ყოფაში რომ ყოველ ჩვენგანს საკუთარი წვლილი მიუძღვის?!“

— ნამდვილად გულახდილი აღიარებაა! საქართველოს დღევანდელ სავალალო ყოფაში მართლაც ყოველ ჩვენგანს საკუთარი წვლილი მიგვიძღვის, საკუთარი ცოდვის წილი გვიდევს, ოღონდაც ყოველი ჩვენგანის „პოლიტიკური წონის“, გავლენისა და პოლიტიკური საქმიანობის მიხედვით; სხვათა შორის, იმისდა მიხედვითაც, თუ ვინ რამდენჯერ მივიდა მიკროფონთან მიტინგებსა და ტელესტუდიაში „ქართველი ერისათვის სიტყვის სათქმელად!“

ერთი საუკუნის წინ დიდი ილია მეფის რუსეთის კოლონიურ მარწუხებში მოქცეული ქვეყნისა და ზნეობა შერყეული ქართველობის შემყურე ჩიოდა: „აქ არეულ დიდსა, არც პატარასა ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გულიო“. მაშინ არ გვინდოდა მისი გაგება და სოციალისტურ-საბჭოურ-კომუნისტური არჩევანისათვის გაეწირეთ იგი. დღეს რალა გვემართება, აკი ილიას სახელი ყველას პირზე გვაკერია, კომუნისტურ არჩევანზეც უარი ვთქვით, სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობაც გულით გვწადია და, ღვთის მადლით, სათანადო ასპარეზიც გაგვაჩნია! დღეს რალა გვემართება, „ქვეყნის ტკივილით რატომ არ გეტკივა გული“, რატომ არ ვფიქრობთ მარტოოდენ თუ არა უფრო მეტს მაინც ჩვენს ტანჯულ ქვეყანაზე და ნაკლებს საკუთარ თავზე, რატომ არ გვინდა ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებთან, ჩვენსავე თანამოძმეებთან ერთად მშვიდობითა და თანხმობით ვაშენოთ საქართველოს მომავალი?

რა აზის ჩვენი ამგვარი „პოლიტიკური ქცევის“ მიზეზი, რამაც ქვეყანა ამ სავალალო ყოფამდე მიიყვანა? –

ყველაფერში საფუძვლიანი, ობიექტური მიზეზების მაძიებელთა გვოვნების დასაკმაყოფილებლად შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ, დღევანდელი ქართველობა -ჩვენი ცნობიერებით, ფსიქიკით, ცხოვრების წესითა და ნირით ჩვენივე 70 წლიანი კომუნისტური წარსულის პროდუქტი ვართ. მაგრამ თუ სუბიექტური მიზეზებიც გვაინტერესებს, რაც ყველა ჩვენგანის პიროვნული პასუხისმგებლობის სფეროშია, ჩვენი ამგვარი „პოლიტიკური ქცევის“ მიზეზი ისაა, რომ ჩვენ ცნობირებით, ცხოვრების წესით, პოლიტიკური აზროვნებით და ა.შ. ვართ... ყოვლადკომუნისტები! გავიკვირვებთ, დიახ, ჩვენ ყველანი ჩვენი პოლიტიკური აზროვნებით ვართ ყოვლადკომუნისტები, ყოფილი პარტიულებიც და პრინციპული უპარტიონიც, კომუნისტურ რეჟიმთან მებრძოლი სახელგანოქმული დისიდენტებიცა და პოლიტიკურ ასპარეზზე გვიან გამოსული, გვიანგაფოლვიძებული ყოფილი უპრეტენზიო რიგითებიც, უასაკო ცოდვებით წულდაუმძიმებელი ახალგაზრდებიცა და ცხოვრების სკოლაგამოვლილი, გამოჯეკილი ძველგაზრდებიც.

დასანანია, მაგრამ წავიდა, სამუდამოდ წავიდა ჩვენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ამაღლებული რომანტიზმის და გმირული ჰეროიკის დრო... განვიდა ჩვენგან სულიწმინდა და დაგვეუფლა სატანა. დაკარგეთ სიწმინდე და მოგვეძალა ჭეკეი... მახსოვს, 9 აპრილის შემდეგ ახლო ხანებში ეროვნული მოძრაობის ერთი მასობრივი ორგანიზაციის საგარეჯოს რეგიონალური განყოფილების დამფუძნებელ ყრილობაზე ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელსა და მისი აღიარებული ლიდერის, ნამდვილად პატიოსანი, მამულისათვის თავდადებული კაცის მგზნებარე გამოსვლა. იგი ლაპარაკობდა ეროვნული ძალების, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრების მისი ჯარისკაცების სიწმინდეზე, მათ უსაზღვრო ერთგულებაზე სამშობლოსადმი და დაახლოებით ამგვარი რამ თქვა: საქთველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ გულითაც რომ მოინდომოს ქვეყნის ინტერესების დაცვა, ამ საქმისათვის მას არა ყავს და არც შეიძლება ყავდეს სათანადო კადრი. ასე მაგალითად, მთავრობამ რომ მოინდომოს მლეთის გზის კონტროლი და იქ ყველაზე უფრო წესიერი მილიციელები გაგზავნოს, ამ წესიერებამ შეიძლება 1000 მანეთად არ გაჰყიდონ საქართველო, შესაძლოა არც 10 000 მანეთად, მაგრამ 100 000 მანეთად მაინც გაჰყიდიან. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჯარისკაცები კი სამშობლოს ინტერესებს მილიონ მანეთადაც არ გაჰყიდიანო. მაშინ ჩვენ ყველას, გულუბრყვილო რომანტიკოსებს, მტკიცედ გეჯეროდა, რომ, როცა ეროვნული ძალები მოვიდოდნენ ხელისუფლების სათავეში, ეს ასეც იქნებოდა. გეჯეროდა და მგონი აუდიტორიაც, ყრილობაზე დამსწრე არანაკლებ გულუბრყვილო კახელებიც დავაჯერეთ. გავიდა დრო, დაემხო კომუნისტური რეჟიმი, ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები, სამგზის შეიცვალა ეს ხელისუფლებაც, მაგრამ დღემდე ვერც მლეთის გზა გავაკონტროლეთ, ვერც სარფის კარი და ვერც წითელი ხიდი. ფულის კურსი, მოგეხსენებათ, კატასტროფულად დაეცა, დღეს სულ სხვა მასშტაბზეა ლაპარაკი, მაგრამ მაინც საქართველოს სახლვრებზე მდგარი ჩვენი დღევანდელი ეროვნული პოლიციისა“ და საბაოს წარმომადგენლები საქართველოს ინტერესებს ხსენებული თანხების საგასურადაც ჰყიდიან და უფრო ნაკლებადაც. არაფერიც არ შეცვლილა, ჩვენ კვლავ კომუნისტებივით ვიჯუბით, კვლავ კომუნისტები ვართ. უფრო სწორად, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩვენ ყველანი, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, კომუნისტებად ვიქეცით...

ავთანდილ კოკიაშვილი

"...ღარიბს და მდიდარს ღმერთი ქვეყანაზე ერთმანეთის გვერდით აჩენს და ერთმანეთის ყურებაში ცდის კიდეც: გაექცევა თუ არა ღარიბს მდიდრის ქონებისკენ თვალი და უწილადებს თუ არა მდიდარი ზღვარსზევით მიცემულ სიმდიდრეს ღარიბს."

* * *

„ამ .ღვაწლისათვის ღვთის კურთხევა იქნება თქვენზე."

წმინდა მამა ანტონი დიდი

სიმდიდრე მსახურია ჭკვიანისა და ბატონი სულელისაო...

მანანა ყიფშიანი

„იყო ერთი პეტრე.. აფრიკელი თავადის მოურავი,მეტისმეტად ძუნწი და გულცივი კაცი, მოურავობის დროს მან დიდძალი ქონება იშოვა. არ ახსოვდა პეტრეს,რომ როდისმე რაიმე სამოწყალო მიეცეს გლახისათვის. მოსალოდნელი იყო, რომ ეს გულქვა კაცი სამუდამოდ დაღუპულიყო, მაგრამ მრავალმოწყალე ღმერთმა დააყენა ის სინანულის გზაზე. ერთხელ, როცა პეტრე სახლში გამომცხვარ პურს აგზავნიდა, დაინახა მოწყალების მთხოვნელი გლახა. მოურავმა მრისხანედ შეუყვირა, მაგრამ გლახა მაინც არ მოშორდა და ითხოვდა სამოწყალოს ქრისტეს გულისათვის.პეტრე მეტად გაჯავრდა, მიიხედ-მოიხედა, უნდოდა, ქვა აეღო და ესროლა მისთვის, მაგრამ ვერ იპოვნა, მაშინ გაბრაზებულმა აიღო ერთი პური და სახეში ესროლა მთხოვნელს. მთხოვნელმა დაავლო პურს ხელი და ლოცვით გაუდგა გზას.

ორი დღის შემდეგ პეტრე მძიმე ავად შეიქმნა. ავადმყოფობის დროს მან ჩვენება ნახა: ის რომელიღაც სასამართლოშია, მის წინ დგას სასწორი, რომელზედაც ერთი მხრით რაღაც შავ-შავი არსებანი ალაგებენ მის ცოდვებს და მეორეს მხრივ ანგელოზები დგანან დაღონებულნი. ცოდვა სძლევს სასწორს, შავი არსებანი იცინიან, ტაშს უკრავენ, ანგელოზები კი დაღონებულები ეუბნებიან ერთმანეთს: „ჩვენ რა დავდოთ სასწორზე, არა არის რა,გარდა ერთი პურისა, რომელიც პეტრემ ესროლა მთხოვნელს. მერე პეტრეს ეს მოწყალება დადეს სასწორზე და ცოტათი შეინძრა ცოდვებით აღვსილი სასწორის ჯამი. მაშინ ანგელოზებმა უთხრეს პეტრეს: „წადი, შე უბადრუკო პეტრე, და ამ პურს კიდევ მიუმატე რამდენიმე პური, რომ ჩვენმა მოქაშპეებმა არ მოგვტაცონ შენი თავი და არ ჩაგაგდონ საუკუნო ცეცხლსა გენიისასა." პეტრე გორს მოვდა და მიხვდა, რომ ეს არ იყო უბრალო მოჩვენება, არამედ, ეს იყო ჭეშმარიტება. ეს იყო მისთვის ზეგარდმო შთაგონება მოწყალების გაცემაზე. პეტრემ უცებ დაინახა ყველა თავისი ცოდვა, რაც კი ოდესმე ჩაედინა სიყრმიდან. დავარდა პირქვე და იწყო ცრემლებით ლოცვა და სინანული. ღმერთს აღთქმა მისცა, რომ შეიქნებოდა უხვად მომცემი გლახაკთა. ამ ჩვენებით მან სცნო, რომ ყოველივე ამას სიკვდილის შემდეგ წყალობისავე სახით დაუბრუნებდა უფალი. გაყიდა მთელი თავისი ქონება და გლახებს დაურიგა და ეს უწყალო, გულქვა და ძუნწი პეტრე შეიქნა მეტად მოწყალე და შერაცხულ იქნა წმინდანად. („. გზა ცხოვრებისა", 45 „ მოწყალების გაცემა ჩვენს ცხონებას დიდ წამებატებას ანიჭებს")

ასე დასრულდა აფრიკელი თავადის მოურავის ისტორია. იმ პეტრემ კი [illegible] ველა თავს, მაგრამ ჩვენ რაღა ვჭნათ [illegible] დენმა ახლად გამდიდრებულმა თუ [illegible] თავითვე მდიდარმა უბადრუკმა პეტრეებმა?! ჩვენ სადღა ვიხილოთ სასამართლო და სასწორის ჯამები, შავ-შავი გახარებული არსებანი და დაღონებული ანგელოზები და ბოლოს ის ერთი „პური", სჩვენი სიმდიდრიდან შემთხვევით ამოვარდნილი?! ყველაფერ ამას არც მეტი, არც ნაკლები, „სულიერი თვალი სჭირდება.

ჩვენ რომ სულიერი თვალი მოგვცა, დავინახავდით, როგორ მოგვჭარბებია ცოდვები და დაგვსევია სხეულის ყოველ უჯრედზე. დავდივართ და დავატარებთ, გორასავით გვადგას თავზე და რაც არ უნდა დაბალ კარებში შევიდეთ, აუცილებლად შემოგვყვება; ოღონდ არ დაგვტოვოს და ნემსის ყუნწში გაძვრება ჩვენთან ერთად. მაინც გვინდა არაფერი მოგვაკლდეს, არაფერი გაგვიჭირდეს, კიდეც მივიდეთ და მოვიდეთ, კიდეც ვიმღეროთ და ვიცეკვოთ, მიწაც არ გვეძრას, სამშობლოსაც ხელი არავინ გვიხლოს და საცხოვრებელიც არავინ წაგვართვას. მაგრამ არ გამოგვდის ისე, როგორც ჩვენ გვინდა! ჩვენ ერთმანეთისკენ მიმავალი გზები უკვე ჩაგვეკეტა, ზეციურ გზებზე რომ არაფერი ვთქვათ. დავრჩით ასე მარტონი საკუთარი ცოდვების ამარა. თუმცა გვგონია, რომ უამრავი ხალხი გვახვევია თავს — ნათესავები და ნაცნობები, ახლობლები და მეგობრები, სინამდვილეში კი მარტონი ვართ, თანაც ცოდვებისაგან ნახევრადშეჭმულები და სანამ მთლად არ შეგვჭამდეს, თავს უნდა ვუშველოთ!

ღმერთმა მშვიდობით ატაროს ის კაცი, რომელსაც დაუიღლიავებია საკუთარი ცოდვები და სიხარულით დაარბენინებს, ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ისე შეყვარებია თავისი ცოდვა, რომ მასთან განშორებას სკვდილი უჯობს. ოღონდ ერთი რამ უნდა იცოდეს იმ კაცმა, რომ ამით მარტო საკუთარ თავს არ ვნებს, ის ვნებს პირველ რიგში საკუთარ სისხლსა და ხორცს, შემდეგ საკუთარ ჯიშსა და ჯილაგს და ბოლოს — თავის ქვეყანას. და თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ საქართველო დღეს ამგვარად მორბენალი კაცებითაა გავსებული, ღვთის რისხვისაგან თავდასახსნელი ერთიბეწო ხვრელის პოვნაც გაგვიჭირდება. სამაგიეროდ არ გაგვიჭირდება იმის გაგება, თუ რატომ ვიწრიტებით სისხლისაგან ისე, რომ ის სისხლი მარტო იმას სდის, ვისაც ტყვია ხვდება, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ ჩასჩიჩინებენ მთელ ქვეყანას, ომში ხარ, ომში ხარო და მას თავი მაინც ჭორწილში ჰგონია... არ გვყვარებია მაინცდამაინც ქართველებს ისე სამშობლო, როგორც ვიფიცებოდით, რადგან სიყვარულმა სიფხიზლე იცის, მზრუნველობის დარდი იცის, ჩვენ ყველაფერი სულაც არ დაგვეშალთა ისე, როგორც ილიას დაემართა თავის დროზე— მას შემდეგ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვებაო. მოვიძიოთ ერთი, რამდენს გაგვიკრთა ძილი და შვება და ერთოდ, რამდენმა ვიგრძენით მამულისადმი განსაკუთრებული სიყვარული... სიყვარულის ხარისხიც საძებარი ყოფილა. შედეგი სახეზეა-აწეწილ-დაწეწილი, ანუ „დაწიაწებული" საქართველო, მხურვალე პატრიოტების ცარიელა გულები და კბილებამდე შეიარაღებული „მობიბინე" დამნაშავეთა სამყარო. თუ ამას კიდევ დავუმატებთ ცოდვებდაიღლიავებულ, ხიხარულით მორბენალ კაცებს (ანუ უბადრუკ პეტრეებს) და იმ პაწაწუნა კაცუნებს, რომლებიც მიდგომიან ჩვენ სამშობლოს და საკუთარი ჯიბის თავზე ჭრიან, კატასტროფის სურათი ნათელი გახდება.

მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავსო, ისეა ჩემი საქმე-სიტყვა გამექცა... ისევ იმ ჩვენს პირველ სიტყვაზე უნდა მოვიდეთ, ისევ იმ ჩვენს აკოკიავებულ ცოდვებს უნდა ავაყოლოთ თვალი! რა ვუყოთ, რით დავარღვიოთ? „ხშირად გაიმეორეთ, რომ ცოდვილნი ხართ, — გვირჩევს წმინდა მამა ანტონი დიდი, — და ყოველთვის სტიროდეთ იმის გამო, რაც მცონარეობისა და გულმოდგინეობის ჟამს მოგიმოქმედიათ... ღმერთი დაივიწყებს თქვენს ცოდვებს და არასოდეს გაგიხსენებს მათ, მაგრამ მას სურს, რომ თქვენ მარად გახსოვდეთ თქვენი ცოდვები. ამრიგად, როცა უფალი მოგვიტევებს, ჩვენ თვითონ არ უნდა მივუტევოთ ისინი საკუთარ თავს და მარად გვახსოვდეს ჩვენი შეცოდებანი. ხოლო ამის გაკეთებას იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუკი ყოველდღე განვაახლებთ ჩვენს სულში სინანულს მათ გამო."

რა ადვილი ყოფილა — დაინახო, ანუ აღმოაჩინო და შეინანო, თანაც სულ უნდა გახსოვდეს და სულ უნდა ინანო. მხოლოდ იმ შემთხვევაში არ დაუმატებ ახალს. ხოლო ყოველივე იმის შემდეგ, როცა აღმოვაჩენთ და შევინანებთ, ხორციელი სიბრალულის იმ შვიდთა საქმეთა მივადგებით,რომელთა გარეშეც ჩვენი არსებობა დედამიწაზე გაწწირულია-მშიერთა ჰმევა, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომა, სნეულთა მოკითხვა,მიხედვა პატიმართა, მიცვალებულთა დამარხვა... მშიერ-მწყურვალი დაილიოდღეს საქართველოში თუ შიშველ-ტიტველი, უსახლკარო და სნეული თუ პატიმარი... მოკლედ, სიტყვა ეძლევა მის უდიდებულესობას — ქველმოქმედებას!— ავანსცენაზე გამოდის მდიდარი კაცი...

თურმე სიმდიდრეს კაცი თავად კი არ შოულობს, არამედ ღმერთი აძლევს. ერთ მშვენიერ დღეს გაუხსნის სიმდიდრისაკენ მიმავალ გზას. ეს გზა ან კეთილი იქნება ან უკეთური. ამ გზის არჩევანია უკვე თავად კაცზე-რას იკადრებს ან არ იკადრებს სიმდიდრის მოსაპოვებლად. იოანე ოქროპირი შეგვახსენებს: „სახარებისეული სიღარიბე მდგომარეობს არა სიმდიდრის მოკლებაში, არამედ სიმდიდრისადმი მიდრეკილების უარყოფაში. შეიძლება ძლიერ ღარიბი იყოს კაცი, მაგრამ ამავე დროს ძლიერ მდიდარი სიმდიდრისადმი წყურვილით და მისწრაფებით, და წინააღმდეგ ამისა, შეიძლება კაცს ჰქონდეს ყოველივე ქვეყნიური სიკეთე, მაგრამ არ ჰქონდეს არავითარი გულით მიზიდულობა სიმდიდრისაკენ. არა მდიდარნი, არამედ სიმდიდრის მსახურნი განიკითხებიან, დაისჯებიან."

ეხომ გაიგონეთ, არა მდიდარნი, არამედ სიმდიდრის მსახურნიო... ამგვარად, სიმდიდრე სულ არ ყოფილა ცოდვა, რადგანაც იგი ღვთისგანაა, ალტომ მისი გამოყენებაც ღვთისავე ნებავა-დარიგებით უნდა ხდებოდეს (თუ უნდა, რომ არა თუ შეერჩეს, არამედ კიდეც გაგიორმაგდეს). „სიმდიდრე მსახურია ჭკვიანისა და ბატონი სულელისაო" — უფალმა... დაბან, შეხარჩენ სიმდიდრეს ღმერთი კაცს აძლევს გარკვეულ ზღვრამდე. აი, ის ზღვარი უნდა იგრძნოს გონიერმა კაცმა, იმ ზღვარამდე სიმდიდრე, ჯერ კიდევ მისი მსახურია, იმ ზღვარსზეით მოცემულისა კი უნდა შეეშინდეს, თუ გონივრულად არ გამოიყენებს, ეს სიმდიდრე უკვე მისი ბატონი გახდება, ანუ კაცი— ამ სიმდიდრის მსახური, ანუ ამ კაცს უკვე აღარ ეთქმის ჭკვიანი, რადგან ეს ის სიმდიდრეა, რომელიც უნდა გადანაწილდეს-ზევიდან ქვევით უნდა წავიდეს". „რასაცა გასცემ შენია, რაც არა-დაკარგულია" — აი, ამ ანდაზის სიბრძნის გასაღებიც... „რაც არა-დაკარგულიაა" შემთხვევაში კი ასეთი რამაც თქმულა:" სიმდიდრე ბედნიერებაა, მაგრამ იშვიათია— მდიდარი ბედნიერი იყოსო". იშვიათია მართლაც მდიდარი, რომელსაც ის საბედისწერო ზღვარი ეგრძნოს. „ბედი ხანდისხან მეტისმეტს იძლევა, საკმაოს კი-არასდროსო." ის საკმაოა სწორედ ძნელი დასაჭერი და თუ დაიჭირე, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ამგვარად ღარიბს და მდიდარს ღმერთი ქვეყანაზე ერთმანეთის გვერდით აჩენს და ერთმანეთის ყურებაცდის კიდეც: გაექცევა თუ არა ღარიბ მდიდარის ქონებისაკენ თვალი და უწილადებს თუ არა მდიდარი ზღვარსზეით მიცემულ სიმდიდრეს ღარიბს. „დამიანმა უნდა [illegible] ეს, რომ არა ჯერ არს ზედმეტი [illegible]არის შეძენა, — გვაფრთხილებს წმ. მამა ანტონი დიდი — და თუ აქვს ზედმეტი რამ, მტკიცედ უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ყოველივე ნივთიერი და ამქვეყნიური ხარწადი და წარმავალია, ან წარტაცებენ, ან თვითონვე დაჰკარგავს რამენაირად, ან დაიქცევა, თუკი იგი შენობაა. ამიტომ როცა კი შემთხვევა მიეცემა, არ უნდა ისულმოკლეოს და გულუხვად უნდა გასცეს თავისი სიმდიდრე, როგორც ამას წმინდა სახარება გვასწავლის".

როგორ კარგად გვიცნობენ ჩვენ, უბადრუკ პეტრეებს ეკლესიის წმინდა მამანი. თავიანთი უდაბნოს სიმყუდროვიდან როგორ კარგად ხედავენ ჩვენს შეჭირვებულ სულებს-ვინც მხოლოდ თავისთვის და ხორციელ სიამოვნებისთვის მიცემულად გაიხმარს ნივთიერ სიმდიდრეს, ეფუბოროტად იღუპავს თავის მოქანცულ სულსაო, ანდა — როგორც ზღვა არასოდეს არ შეიძლება იყოს უმწუხაროდ, უზრუნველად, უშიშრად და უშფოთველადო.

ჩვენ, უბადრუკმა პეტრეებმა, ყველაზე უკეთ ვიცით იმ უზრუნველი, გარეგნული ბრწყინვალებით შეფერილი მაგიდებამდე მისული ლიპების უკან რაოდენ მოქანცული და მშიშარა სულები დგანან. მივცეთ შვება ჩვენს სულებს, გამოვუშვათ ზედმეტი სისხლი-მშიერ-მწყურვალი დაილია დღეს საქართველოში თუ შიშველ-ტიტველი, უსახლკარო თუ პატიმარი... მივცეთ გზა ყველაზე ღვთიურს და ამავე დროს ყველაზე ადამიანურ გრძნობას-ქველმოქმედებას!

„ერთმა ათი წლის ყმაწვილმა წირვაზე ქადაგების დროს ბერისაგან გაიგონა, რომ მოწყალებას, რომელსაც ჩვენ მათხოვარს ვაძლევთ, ვაძლევთ შას კი არა, არამედ თვით ქრისტეს. ეს ყმაწვილი ბერის სიტყვების სინამდვილეში დაეჭვდა და, როცა შინ დაბრუნდა, ფიქრობდა: „მე ვიცი, რომ ქრისტე ხის ზეცას მარჯვენით მამისა და როგორ შეუძლია მიიღოს მაგალითად პურის ნატეხი, რომელსაც მათხოვარს ვაძლევ". ამ დროს მან დაინახა გლახა, რომელიც თხოულობდა სამოწყალოს ქრისტეს გულისათვის, და [illegible] ხის თავის ზემოთ დაინახა ქრისტ[illegible] ოვარის სახე, ყმაწვილს შეეშინდა. უცბად იქვე მდგომ სახლიდან ვიღაცამ გამოუტანა მათხოვარს პური და როგორც კი გაუწოდა ხელი, რომ მისცეს მას, მაცხოვარმა განიპყრო მარჯვენა, რათა მიიღოს მისგან პური და გადასცეს მათხოვარს და ამის შემდგომ სამოწყალოს გამცემი ჯვარის სახით აკურთხა. მაშინ წინდაუხედავი ბავშვი ერწმუნა ღვთის სიტყვას და იმ დროიდგან შეიქმნა ის მთელ სტამბოლში პირველი კეთილისმყოფელი გლახაკთა." („გზა ცხოვრებისა", 8 „ იქვე სარწმუნოების საქმეში")

ესეც ქველმოქმედების ფორმულა-გამოგიწოდეს ხელი, გაუწოდეს და თქვენს შორის უფლის „მარჯვენე" დატრიალდა... ჩამოგართვა, გაკურთხა და გადასცა.

ეს ფორმულა ერთია მტირე და დიდი ქველმოქმედებისათვის.

... [illegible] ქველმოქმედებას [illegible] [illegible] [illegible]

გურამ ფანჯიკიძე: არა გვაქვს შეცდომის უფლება!

გაგრძელება

დამოუკიდებელი საქართველოს ინდუსტრიული მიზნებისა და ამოცანებისადმი.

— თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ინდუსტრიის ხვალინდელი დღე?

გ.ფ. — კვლავ ჩემი ძველი ნათქვამი მინდა გავიხსენო. შეიძლება თქვენც და მკითხველმაც მითხრათ, რატომ გვახსენებ თქვენს ძველ წერილებსო. მხოლოდ ერთი მიზნით, ბატონო ფელიქს და ძვირფასო მკითხველებო, მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი საქართველოში გამეფებულ უყურადღებობას — „წერე და იკითხე!" ეს დებულება სამწუხაროდ, კვლავ ძალაშია. თუმცა მაშინ ანგარიშის გაწევას ვინ დაიჯერებდა, როგორც უკვე გითხარით, სამშობლოს მოღალატის ტიტული დავიმსახურე. ვიყავი თუ არა მართალი მაშინ, მკითხველმა განსაჯოს. მაშ მოვიტან ციტატას:

„საქართველო დღეს, ასეა თუ ისე, ინდუსტრიული რესპუბლიკაა. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის დროს არავის არ განუხილავს, საჭირო და გამართლებული იყო თუ არა ამა თუ იმ ქარხნის ან ფაბრიკის მშენებლობა. მაგალითად, თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანას საბჭოთა კავშირის თითქმის ასი ქალაქიდან მოსდის ნაწილები.

არის ასეთი ქარხანა საჭირო სუვერენულ საქართველოში?

რასაკვირველია, არ არის!

მსგავსი მაგალითების მოტანა ბევრი შეიძლება.

ბუნებრივია,ისმის კითხვა: დღესდღეობით გვაქვს კი სპეციალისტების მიერ ზუსტად (თუნდაც მიახლოებულად) დამუშავებული კონცეფცია, ელმავალმშენებელი ქარხნისა და მისი მსგავსი ქარხანა-ფაბრიკების თანდათანობით გაუქმების შემდეგ, როგორი ფაბრიკა-ქარხნები უნდა აშენდეს საქართველოში? ბუნებრივია, დამოუკიდებელი საქართველოს სამომავლო ფაბრიკა-ქარხნები ძირითადად უნდა მუშაობდნენ რესპუბლიკის ნედლეულზე და რესურსებზე. საენდლეულე ავტონომია გაცილებით მნიშვნელოვანია და არსებითი პატარა ქვეყნებისათვის. თვით კადრებით უზრუნველყოფილ იაპონიაშიც კი, რომელსაც „ეკუთვნის ოცდამეერთე საუკუნე" (ეს ლოზუნგი თითქმის აღიარებულია მსოფლიოს მიერ), უკვე ფიქრობენ, ძირითადად მრეწველობის რა დარგები განავითარონ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისისათვის. არამცთუ ფიქრობენ, ამ მიმართულებით უკვე ჩაატარეს ღრმად გაანალიზებული სამუშაოები და დასახეს კიდეც კონკრეტული ამოცანები. კერძოდ, იაპონელებმა შეარჩიეს თოთხმეტი დარგი: საავიაციო და კოსმოსური ტექნიკა, ოპტიკური ბოჭკოები, ინტეგრალური სქემები, სამრეწველო რობოტები, სამედიცინო ელექტრონიკა, კომპიუტერები, საინფორმაციო სისტემები, სამრეწველო კერამიკა, წამლები, ახალი მასალები, საპროგრამოდამამახსოვრებელი მოწყობილობები, აგრეთვე ბიოტექნოლოგია და ზუსტი მანქანათმშენებლობა.

ამ დიდი ამოცანის გადასაჭრელად — განესაზღვრათ მომავლის კონტურები და დაესახათ პრაქტიკული გეგმები — იაპონელებმა 1963 წლიდან შემოიღეს „გონიერთა ქალაქები" და ამ ქალაქების შესაქმნელად დღემდე უკვე დახარჯეს 20 მილიარდამდე დასავლეთგერმანული მარკა. უკანასკნელ წლებში „იდეების ფაბრიკაში" მომუშავე მეცნიერთა რიცხვმა მიაღწია 11 ათას კაცს. იაპონელები კიდევ უფრო შორს აპირებენ წასვლას. 1990 წელს მწყობრში ჩადგება კიდევ 14 „გონიერთა ქალაქი", ხოლო იქ მომუშავე მეცნიერთა რაოდენობა მიაღწევს 50 ათას კაცს.

რასაკვირველია, იაპონიის, ამ ზესახელმწიფოს ამოცანებიც განსხვავებული იქნება დამოუკიდებელი საქართველოს ამოცანებისაგან, მაგრამ ჩვენ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უნდა ვიცოდეთ ის ძირითადი მიმართულებანი, რაც ხელსაყრელი იქნება დამოუკიდებელი საქართველოსათვის, როგორც მუშახელის რაოდენობით, ასევე ნედლეულითა და რენტაბელობით.

დამეთანხმებით, არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს ერთ დღეში ვერ შევცვლით სხვა, ჩვენთვის ხელსაყრელი ფაბრიკა-ქარხნებით. გასავლელი იქნება ძალზე რთული, გარდამავალი პერიოდი. თანაც მუშა-ხელსა და საინჟინრო პერსონალს ვერ დავტოვებთ უძუშევარს. მრეწველობის ერთი ურთულესი სისტემიდან და მისი შესაბამისი ურთულესი ფინანსური მექანიზმიდან მეორე ურთულეს სამრეწველო და ფინანსურ სისტემაზე გადასვლა ხელის ერთი დაკვრით არ შეიძლება. არც წინასწარი ღრმა ანალიზისა და ეტაპობრივი გეგმის გარეშე შეიძლება მსგავსი რადიკალური ღონისძიებების გატარება. თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდება რუსთავი და არამარტო რუსთავი, მთელი რესპუბლიკა, ერთბაშად, ხელის ერთი დაკვრით რომ დავხუროთ მეტალურგიული ქარხანა! აღარაფერს ვამბობ იქვე მომუშავე სხვა მსხვილ ობიექტებზე. დამეთანხმებით, 150 ათასიანი ქალაქი აღმოჩნდება ქაოსის წიაღში!

სოფლის მეურნეობაში სურათი, ასე თუ ისე, ნათელია. ძირითადი დარგები ეჭვს არ იწვევს. აქ ღონისძიებები სულ სხვა მიმართულებით არის გასატარებელი. რატომ მოწყდა ქართველი გლეხი სოფელს? რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ იგი კვლავ დაუბრუნდეს მიწას — თავის მარჩენალს?

ისრაელმა გაცილებით მძიმე ბუნებრივ პირობებში შესძლო ერთ ჰექტარზე მოყვანილი ჰექტარნახულით მსოფლიოში პირველი ადგილი დაეკავებინა!

როგორ? რა გზით მიაღწიეს ამ წარმატებებს?

რასაკვირველია, ორგანიზებული და თავდადებული შრომით, მოწინავე მექანიზაციით, ბაზრისა და ფასების გამონახვისა და მოწესრიგების გზით. ქვეყანაში იდეალური წესრიგის დამყარების შედეგად, რითაც გზა გადაუღობეს ყოველგვარ უპატიოსნო და არაკეთილსინდისიერ შემოსავალს.

დიახ, წესრიგი და მაღალი შრომის ნაყოფიერება შეიძლება იყოს მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც მოწესრიგებულია სახელფასო სისტემა, შრომის ანაზღაურების ყველაზე სამართლიანი და პატიოსანი სტრუქტურა, სადაც კანონის მთელი სისასტიკით, საზოგადოების უმკაცრესი გაკიცხვით ისჯება ყოველი თაღლითი და უპატიოსნო ადამიანი!

დღეს სოფლის მეურნეობა წარმოუდგენელია მაღალი მექანიზაციისა და მიწის კულტურული ექსპლუატაციის გარეშე. შორს ნუ წავალთ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც კი 100 ჰექტარ მიწაზე მოდის 550 000 მანეთი ძირითადი ფონდისა, საბჭოთა კავშირში კი — 62 000. საბჭოთა გლეხზე საშუალოდ მოდის თორმეტი ცხენის ძალა სიმძლავრე, შტატებში კი — 142. ამიტომაცაა, რომ საბჭოთა გლეხი ქმნის მხოლოდ ათი კაცის სამყოფ პროდუქციას, ამერიკელი კი — სამოცდაშვიდისას".

რას დავუმატებდი დღეს ჩემს ოთხი წლის წინანდელ ნათქვამს? რასაკვირველია, პრივატიზეციას! მაშინდელ პირობებში თითქმის ოცნებად გვეჩვენებოდა პრივატიზაციის პროცესი. ერთი უნდა დავძინო, თავისთავად პრივატიზაცია ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ სახელმწიფოში არ იქნა წესრიგი, თუ გლეხი არ იქნა დაცული, თუ სოფლის მეურნეობა არ მომარაგდა საწვავით, მექანიზმებითა და სასუქით. თუ გარანტია არ იქნება მშვიდობიანი და ხელსაყრელი ვაჭრობისა.

— ვაჭრობა მარტო საშინაო ბაზარს ხომ არ ნიშნავს.

გ.ფ. — რასაკვირველია, არა, მე, უბრალოდ, უშუალოდ გლეხსა და მისი პროდუქციის ბაზარზე მოგახსენებდით. რაც შეეხება, საერთოდ საშინაო და საგარეო ვაჭრობას, კვლავ ძველი ნათქვამი უნდა გავიმეორო:

„დღეს თვით ზესახელმწიფოებიც კი წარმოუდგენელია საგარეო ვაჭრობის გარეშე. ნებისმიერი ქვეყანა ყიდის და ყიდულობს მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახეობის ნაწარმსა და პროდუქტს. ჩვენ დღესვე უნდა გვქონდეს საპროგრამო კონცეფციები, რა უნდა ვიყიდოთ და რა უნდა გავყიდოთ, რამდენი უნდა ვიყიდოთ და რამდენი უნდა გავყიდოთ, სად ვიყიდოთ და სად უნდა გავყიდოთ.

დღესდღეობით (1986 წლის მონაცემებით) რესპუბლიკაში შემოზიდული პროდუქციის მოცულობა 213,6 მილიონი მანეთით აჭარბებს გაზიდულს. საქართველოში პროდუქცია ძირითადად შემოდის საბჭოთა რესპუბლიკებიდან, თუმცა იმპორტული შეადგენს საერთო შემოტანილი პროდუქციის 18,2 პროცენტს, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში იმპორტი შეადგენს 35,5 და 35.6 პროცენტს.

ჩვენი ძირითადი მომწოდებელია რუსეთი. იქიდან შემოგვაქვს მთელი მოცულობის 51,4 პროცენტი (დარგობრივად, ელექტროენერგიის 64,4 მანქანათმშენებლობის ნაწარმის 80,7, სათბობი მრეწველობის 57,2 პროცენტი).

დღესდღეობით საქართველოში სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონე ძალზე ჩამორჩება რეკომენდებულ ნორმებს.

მაგალითად, 1988 წელს საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 33 კილოგრამი რესპუბლიკაში ნაწარმოები ხორცი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 67 კილოგრამისა. დოტაციის მიუხედავად, ხორცის მოხმარება მაინც ვერ ავიდა რეკომენდებულ ნორმამდე. მან ამ ნორმის მხოლოდ 72 პროცენტს მიაღწია.

სამწუხაროდ, 2000 წლისათვის კიდევ უფრო გაუარესდება მაჩვენებელი (რასაკვირველია, თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც დღესაა, მართალია, ვარაუდობენ, რომ რესპუბლიკაში ხორცის წარმოების მატება ერთნახევარჯერ გაიზრდება, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე მისი მოხმარება (ტურისტებისა და დამსვენებლების ჩათვლით) კვლავ ვერ გადააჭარბებს 35 კილოგრამს წელიწადში, ნაცვლად 67 კილოგრამისა. თან იგულისხმება, რომ კვლავ შენარჩუნებული იქნება სადოტაციო ნორმები).

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირიდან პროდუქციის შემოტანა ხდება ჩვეულებრივი, არაკონვერტირებადი ფულით და საგრძნობლად იაფად. სუვერენული საქართველო იგივე პროდუქტს შეიძენს გაცილებით ძვირად და მხოლოდ ვალუტით.

ბუნებრივია, ჩვენც ვალუტაზე გავყიდით საკუთარ პროდუქციას და მოვახდენთ ერთგვარ ფინანსურ ბალანსირებას, მაგრამ ეს როდი გახლავთ იოლი პროცესი. ვერაფერს ჩვენ ვერ გავყიდით, რაც არ იქნება მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

დღესდღეობით ჩვენი ნაწარმის ძირითადი გამსაღებელია საბჭოთა კავშირი, სადაც, ხარისხიანია თუ უხარისხო, მაინც იყიდება ჩვენი ჩაი, ღვინო, კონიაკი, არაყი და მრავალი პროდუქტი. მაგრამ იგივე რუსეთი, როცა ჩვენ ვაჭრობას ვალუტით დავიწყებთ და საბჭოთა ქაღალდის ფულით აღარ დავკმაყოფილდებით, ჩვენთან ვაჭრობაზე უარს იტყვის, თუ იქ მაღალი ხარისხის, კარგ ბოთლებში ჩამოსხმული, კარგად დაფასოებული და მაღალი პოლიგრაფიული დონის ეტიკეტებით დამშვენებული პროდუქცია არ შევიტანეთ. იგივე პროდუქტებს ისინი ვალუტით სხვა ქვეყნებიდან შეისყიდიან.

ერთიც არ უნდა დავივიწყოთ, მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებას სჭირდება უზარმაზარი რეკლამა. რეკლამა კი, მოგეხსენებათ, თავისთავად ძალზე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული".

რას დავამატებდი ჩემს მაშინდელ ნათქვამს? დღეს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქმე ძალზე გართულდა. საქართველოს შემოჰქონდა ორი მილიონი ტონა ნორმალი, ერთი მილიონი ტონა ბორცი, ერთ მილიონამდე ტონა რძე და რძის პროდუქტები.

შემოტანა [illegible] ინტენსიურალიზებული წესით. ჩვენ გადავწყვიტეთ, ძველ ქსელთან დაკავშირებული ყველა ძარღვი ერთბაშად გადაგვეჭრა. წინასწარ არ გვიზრუნია, მოგვენახა ახალი კავშირები.

თვით ისეთი დიდი და განვითარებული სახელმწიფოს მეთაურიც კი, როგორიც საფრანგეთია, ამბობს, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი მეზობლებთან კავშირის გარეშე ცხოვრებას ვერ შევძლებთო. მითუმეტეს, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ქართველებმაც არ უნდა დავივიწყოთ.

— რამდენადაც თქვენი ძველი ნაწერებიდან ვიცი, ტურიზმი და ტურისტული ინდუსტრია არ მიგაჩნიათ საქართველოსათვის მიზანშეწონილად.

გ.ფ. — ტურიზმის თაობაზე ჯერ კიდევ 15 წლის წინ ვწერდი. ბევრს ჰგონია, რომ ტურისტული ინდუსტრია ვალუტის შემოტანის უდიდესი საშუალებაა. მე სავსებით ვეთანხმები ამ მოსაზრებათა ავტორებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ტურისტული ინდუსტრია დამღუპველია, მოგეხსენებათ, ერთ დამსვენებელზე საბჭოთა კავშირის პირობებში მოდის 1,5 მომსახურე პერსონალი. ახლა წამოიდგინეთ სერვისი, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების ტურისტებისთვისაა საჭირო. მაშინ, მინიმუმ, ორი კაცი მაინც უნდა მოდიოდეს ერთ დამსვენებელზე.აღარაფერს ვლაპარაკობ, როგორი უნდა იყოს ქვეყანაში წესრიგი და სიმშვიდე, რა დონეზე უნდა მოვაწყოთ სასტუმროები, სანაკორიუეები, დასასვენებელი სახლები, რა ეგზოტიკური და მომხიბვლელი უნდა იყოს ჩვენი ტურისტული მარშრუტები, რა დონეზე უნდა იყოს კულტურულ-სამედიცინო მომსახურება, რომ მოვიზიდოთ კაპიტალისტური ქვეყნების დამსვენებელთა ის ფენა, ვალუტის კერად რომ აქცევენ ჩვენს ტურისტულ ინდუსტრიას.

ერთი რამ მტკიცედ უნდა განვსაზღვროთ, რამდენი ტურისტის მიღება შეუძლია ერთდროულად საქართველოს, რა სიმძლავრით უნდა ამუშავდეს სუვერენული საქართველოს საკურორტო ტურისტული ინდუსტრია, რომ ვნება არ მივაყენოთ ჩვენს სოფლებს, ჩვენს ქალაქებს, ჩვენს კულტურას, მეცნიერებას, ერთი სიტყვით, რომ არ ვიქცეთ ოფიციანტებისა და სასტუმროს დიასახლისების ქვეყნად, რომ არ დავამსგავსოთ საქართველო უზარმაზარ სასტუმროს.

ესაუბრა

ფელიქს კოტიაშვილი

გაგრძელება იქნება

შეცდომების გასწორება

წინა ნომერში გამოქვეყნებულ გ. ფანჯიკიძის ინტერვიუში გაიპარა რამდენიმე შეცდომა. კერძოდ:

1. მე-5 გვერდის მეორე სვეტში უნდა იკითხებოდეს — სურათი არ შეცვლილა.

2. მე-8 გვერდის მეოთხე სვეტში უნდა იკითხებოდეს — ყოველი სამი კაციდან.

3. ბოლო სვეტში უნდა იკითხებოდეს „ოფეკი".

4. იგივე სვეტში უნდა იკითხებოდეს — თუ ახალგაზრდა არ მიჰყავთ ჯარში.

ინდექსი 66447

ფასი 9 მან 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
- შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ნოდარ
გრიგალაშვილი